კვალი

წელიწადი ყოველკვირეული გაზეთი მეთერთმეტე

№ 22 **კვირა, 29 ივნისი 1903 წ.** **№ 22**

გაზეთის ფასი: ერთი წლით ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მან. და 50 კაპ.; ტფილისს გარეთ: ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, საპიორის ქუჩაზე, № 35. **ტელეფონი № 734.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газеты „КВАЛИ“.

შინაარსი: მამულიშვილობა, ეროვნობა თუ ხალხის სამსახური? ყვირილელისა. – შინაური მიმოხილვა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები. — რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—*** ლექსი, პასიკო ლორთქიფანიძის ასულისა.—სამშობლოს ცაზე, რიგოლეტოსი.—კვლავ ფიქრი, ფიქრი... ლექსი პროზათ, სპირიდონ ჭყირიშვილისა.—რა მდგომარეობაში არიან ამიერ კავკასიაში ფარმაცევტები? ს. მამალაძისა.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ადრესი, ალ. ხახანაშვილის მიმართ.

მამულიშვილობა, ეროვნობა თუ ხალხის სამსახური?

წინა წერილებში („კვალი“ №№ 14 და 15) ჩვენ გავარჩიეთ ის ორი მიმართულება, რომელიც ჩვენში მამულიშვილობის და ეროვნობის სახით არის გამოსული. ჩვენ ვცდილობდით გაგვერჩია ამ მიმართულებათა მთავარი ძარღვი და მხოლოდ გაკვრით შევეხეთ იმ ქერქს, რომლითაც იმოსება საქვეყნოთ გამოსვლის დროს ერთიცა და მეორეც. მართალია, ხანდახან ასეთი მიმართულება პირდაპირ, დაუმალავათ გამოდის და თავის კლასობრივ შინაარსს ხელს არ აფარებს. ჩვენშიაც შეგიძლიათ, მაგ., გაიგონოთ: «ჩვენ გვსურს ეროვნობის განმტკიცება, ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ფულიანი კაცები გვეყოლება, ამიტომ დასჯერდენ ჩვენი მშრომლები ჩვენს ბურჟუებს ცოტა ქირასო“. აქ ბევრი დაკვირვება არ არის საჭირო, თქვენ მაშინვე მიხვდებით, რა გვარ ეროვნობასთან გაქვთ საქმე. «შევაჭამოთ ჩვენს ბურჟუას ჩვენი მშრომელი» — აი ამ «ეროვნობის» შინაარსი.

მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს სულ სხვარიგათ მჟღავნდება. აი, მაგ., შეგხვდათ თქვენ კაცი, რომელიც გაცხარებით გეუბნებათ: „როგორ? ქართული ენა თქვენთვის მხოლოდ საშუალებაა ხალხის განსავითარებლათ? ქართული წიგნის კითხვა თქვენ მხოლოდ ცოდნის შესაძენათ გჭირდებათ? ეს ხომ შელახვაა მამულიშვილური გრძნობის, ეს შეურაცხყოფაა ქართული ენის. თქვენ ქართული ენა მხოლოდ იმიტომ უნდა იხმაროთ, რომ ის ქართული ენაა, ქართული წიგნი მხოლოდ იმიტომ უნდა იკითხოთ, რომ ის ქართული წიგნია“. რას უპასუხებთ თქვენ ამაზე? უთუოთ ხელს გაიქნევთ და იტყვით: «ეს არც კლასობრივი მოძღვრებაა, არც სხვა ჯანდაბა, ეს უბრალო სისულელეაო». მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ამას ერთი და ორი კი არ ამბობს, არამედ მთელი საზოგადოებრივი მიმართულება, ნუ დაივიწყებთ, რომ ამ მცნებას — «ენა ენისთვის», «კულტურა კულტურისთვის» — ერთი და ორი მწერალი კი არა, ჩვენი მწერლობის მთელი ნაწილი ემსახურება. მაშასადამე, ამ მიმართულებას სხვა საფუძველი უნდა ქონდეს, სხვა ახსნა უნდა მიეცეს. მიუბრუნდით თქვენს მოსაუბრეს და კითხეთ, რა პრაქტიკული პროგრამით უნდა განხორციელდეს ეს მისი ბუნდოვანი პრინციპი—«ქართველობა ქართველობისთვის»—და მაშინ გაიგებთ, სად მარხია ძაღლის თავი. «პირველ ყოვლისა, გეტყვით ის, ჩვენ ქართველები ვართ და ერთობა უნდა გვქონდეს. რას გავს ჩვენი ცხოვრება? ხალხი მოწინააღმდეგე დასებათ დაიყო, ერთმანეთს ებრძვიან. ვეცადოთ, ეს წინააღმდეგობა მოისპოს, ყველას თავ-თავისი დარჩეს, ნუ გავაქრობთ ნურც ერთ წოდებას, ვინაიდან ის ქართველია. ქართველის ქართველთან ბრძოლა გვღუპავს ჩვენ» — ახლა ხომ გაიგეთ, რა ალაპარაკებს თქვენს მოსაუბრეს? ვთქვათ, მისი სურვილი ასრულდა, მისმა ქადაგებამ გავლენა იქონია,—ვინ დარჩება მაშინ მოგებული? ის, ვინც წინათ მდიდარი და გაბატონებული იყო, თუ ღარიბი და დამონებული?

ამნაირათ, თუ პირველ მიმართულების შინაარსი ჩვენ ასე გამოვთქვით: შევაჭამოთ მშრომელი ბურჟუასო, მეორის შინაარსი ეს იქნება: «შევაჭამოთ ხალხი კეთილშობილებსო».

რასაკვირველია, ბევრი თვითონაც დაბრმავებულია კლასობრივ ფსიხოლოგიით. ბევრმა მათგანმა, ვინც «ერის» და «მამულის» სიყვარულზე ყვირის დღეს ჩვენში, თვითონაც არ იცის, რომ მის მოძღვრების ერთადერთი დასკვნა ეს არის, ბევრი ფიქრობს, ჩემი მოძღვრება მართლა მთელი მამულის და ერის სამსახურია, და არა ვიწრო კლასობრივ ინტერესებისო. მაგრამ გულწრფელია თუ არა ამ მიმართულების მიმდევარი, ამით მისი შინაარსი არ იცვლება...

როგორც დავინახეთ, ორივე ეს მოძღვრება უარყოფილია თანამედროვე ცხოვრებით. მათ მაგივრათ, მათ წინააღმდეგ იშვა და მომაგრდა ახალი მიმართულება, მოძღვრება მართლა მთელი მამულის, მართლა მთელი ერის ინტერესების გამომხატველი, მოძღვრება, თვით ცხოვრებისგან გამოთქმული და ამიტომ მკვიდრ ნიადაგზე დაყრდნობილი. ეს არის **ხალხის სამსახური.**

ჩვენ ნათქვამი გვქონდა, რომ დღეს ჩვენი ცხოვრებისაგან სწორეთ ის კითხვაა წამოყენებული, რომელიც მე-18 საუკუნეში საფრანგეთის ბურჟუაზიამ წამოაყენა. ეს კითხვა მდგომარეობს ფეოდალურ ურთიერთობის სრულ მოსპობაში და ადამიანის პირად დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებაში. ბატონ-ყმობის გაუქმებამ და ახალ წარმოების დამკვიდრებამ კიდევაც გამოიყვანა ჩვენი ქვეყანა ამ გზაზე. ორივე ეს გარე-

განმა ძალამ მოახდინა. მაგრამ შემდეგ ამ განვითარებამ თვით შექმნა ჩვენს ერში ისეთი საზოგადოებრივი ძალა, რომლის არსებობა მჭიდროთ არის შეკავშირებული ცხოვრების განახლებასთან და რომელიც ამიტომ სათავეში ჩაუდგა განახლების საქმეს. რა ძალაა ეს ძალა? როგორ შეიქმნა იგი?

ჩვენს ქალაქებში ფეხი მოიდგა ახალმა წარმოებამ. წარმოების ახალმა განწყობილებამ მოითხოვა მრავალი მუშა ხელი. ქალაქმა მოიზიდა სოფლიდან მშრომელი. და აი იქიდან, სადაც თუმც ბატონ-ყმობა მოისპო, მაგრამ მრავალ საუკუნოებით განმტკიცებული ბატონ-ყმური აზროვნება ჯერ არ გამქრალა, სადაც ადამიანი მოშორებულია ყოველ კულტურულ სიცოცხლეს და მოძრაობას, სადაც ის სხვებისაგან განცალკევებულია თვით შრომის წეს-რიგით,—აი ასეთ პირობებიდან მშრომელი გადადის ახალ ცხოვრებით შექმნილ პირობებში, ქალაქის გამომფხიზლებელ ატმოსფერაში, სადაც ყოველ ფეხის გადადგმაზე კაცი კაცს ებრძვის უპირატესობისთვის, სადაც სდუღს და მოძრაობს საზოგადოებრივი ცხოვრება, სადაც ის მუშაობის დროს თავის გვერდით ხედავს ასს და ათასს თავის მსგავსს და ეჩვევა საერთო ინტერესების შეგნებას. მისი დადუმებული, სოფლის ცხოვრებით დაჩლუნგებული გონება იღვიძებს, ის თვით ჩარეულია საერთო შეჯახებაში და იწრთვნება ახალი ცხოვრებით. მასში იღვიძებს კლასობრივი შეგნება. ის ხედავს, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე მას ეღობება და სულს უხუთავს ის ნაშთები ძველი ფეოდალურ ცხოვრებისა, რომელიც ჯერ კიდევ არ გამქრალა. ამიტომ ის ებრძვის ამ ნაშთებს, ხდება მათი მოსისხლე მტერი. მას, ახლა მოქალაქობრივ კულტურით განვითარებულს, შეაქვს ნელ-ნელა იგივ კულტურა სოფელშიაც, რადგანაც მისი კავშირი სოფელთან სრულათ არ გაწყვეტილა.

ამგვარათ დღეს, როდესაც ჩვენ გვეუბნებიან, ვეცადოთ, რა მსხვერპლათაც უნდა დაგვიჯდეს, გავამაგროთ ჩვენი ნორჩი ბურჟუაზია, რადგანაც ჩვენი ეროვნულ ცხოვრების აღორძინება მხოლოდ ამით შეიძლებაო,—ჩვენ კიდევაც ვხედავთ მეორე კლასს, რომელიც უკვე გამაგრებული, შეგნებული და ცხოვრებაში გამოსული არის, და რომელიც მზათ არის თავი დასდოს სწორეთ იმ ეროვნულ აღორძინებისათვის, რომლის შექმნას ბურჟუაზიის წყალობით გვპირდებიან, და რომელიც სხვაგან მართლა ბურჟუაზიამ შექმნა,—ე. ი. ფეოდალურ ჯაჭვების სრულ დამსხვრევის და პიროვნების განთავისუფლებისთვის.

ენის განვითარება, კულტურის გამდიდრება—ყველაფერი ეს მარტო აქ, ამ მოძრაობის დახმარებით შეიძლება მოხდეს. როდესაც ენა იარაღია განათლების, რომლის საჭიროება თვით ხალხმა შეიგნო, მაშინ მისი დაცემა შეუძლებელია, ის ცხოვრებასთან ერთათ წინ მიდის და ვითარდება. ნუ ძიაწვდენთ ხალხს მისთვის საჭირო ცოდნას ამ ენაზე, ის სულ ერთია, თავის მოთხოვნილებას სხვა რიგათ დაიკმაყოფილებს ბოლოს და ბოლოს,—ენა კი სწორეთ მაშინ დაადგება გადაგვარების და მოსპობის გზას. ამას ნუ დაივიწყებენ ისინი, ვინც ეტრფის „ენას ენისთვის", და ხალხს კი, რომელიც ჩარეულია თანამედროვე ცხოვრებაში და თხოულობს სამშობლო ენაზე საჭირო იარაღს, ყურადღებას არ აქცევს. ნუ ივიწყებენ ისინი, ვინც „კულტურას კულტურისთვის" ეტრფის, რომ ჩვენი კულტურულათ დაწინაურების ერთადერთი წყარო აქ, ამ მოძრაობაშია, რადგანაც ეს მოძრაობა მიმართულია სხვა, უფრო განვითარებულ ქვეყნების გონებრივ საუნჯისაგან რაც შეიძლება მეტი სიმდიდრის ჩვენს ქვეყანაში გადმოსატანათ, დასამკვიდრებლათ და შესათვისებლათ. ამნაირათ მათ, ვინც გულწრფელათ მონდომებულია ჩვენს ცხოვრებაში იმ პროგრესიულ წყობილების დამკვიდრებას, რომელსაც სხვა ქვეყნებში „ეროვნული აღორძინება" ერქვა, ვინც მართლა ენის და კულტურის განვითარებაზე ზრუნავს,—ჩვენ ვიწვევთ ხალხის სამსახურისკენ, რადგანაც ჩვენი ქვეყნის განვითარების თავისებურ პირობების გამო ჩვენში მშრომელთა კლასი, და არა სხვა რომელიმე, გამოვიდა დღეს ახალი ცხოვრების მეთაურათ და ამ საკითხის გადასაწყვეტათ. რასაკვირველია, ეს კლასიც, როგორც ყოველი სხვა, თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობს მხოლოდ და მხოლოდ თავის კლასობრივ ინტერესებით, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ დღეს ამ კლასის ინტერესი, როგორც ერთ დროს საფრანგეთის ბურჟუაზიის ინტერესები, ეთანხმება საზოგადო ინტერესებს, ეთანხმება, მაგ., თავისუფალ პროფესიათ წარმომადგენელთ, წვრილ, საშუალო და სხვილ ბურჟუაზიის ინტერესებს, რამდენათაც ეს უკანასკნელები ეწინააღმდეგებიან ფეოდალურ წყობილების ნაშთებს. და როგორც ერთ დროს საფრანგეთის ბურჟუაზია, დღეს ეს კლასიც—სხვაზე უფრო შეგნებული, მომზადებული, გამაგრებული,—ჰეგემონიას კისრულობს საერთო პროგრესიულ მოძრაობაში, და მის გვერდით თავს იყრის და გროვდება ყველა სხვა მოწინავე ჯგუფები.

რასაკვირველია, როდესაც ეს, დღევანდელი ცხოვრებით წამოყენებული კითხვა გადაწყდება, მაშინ მას მოშორდება ბევრი ახლანდელი თანამშრომელი. მაშინ ის მარტო წავა წინ და თან მიჰყვება ყველა ის, ვისთვისაც შრომის ინტერესი არის ერთადერთი ქვაკუთხედი აზროვნების და მოქმედებისთვის. დღეს კი ის მეთაურობს „ეროვნულ აღორძინებას". ეს მისი პირველი ბიჯია. რაც უფრო გაძლიერდება ის, რაც უფრო განვითარდება მასში ღრმათ და ფართოთ კლასობრივი შეგნება, - მით უფრო ახლო იქნება ეს აღორძინება, მით უფრო წინ წასდგამს ფეხს ჩვენი ცხოვრება.

და ეს ჩვენი ეროვნული აღორძინება სრულებითაც არ ეწინააღმდეგება სხვა ტომის ხალხთა ინტერესს. ეს წინააღმდეგობა, როგორც წინათ დავინახეთ, მოგონილია ორი სხვა კლასის კერძო ინტერესების დასაცველათ, იმ ინტერესების, რომელიც ეღობება წინ ჩვენი ცხოვრების განვითარებასაც და ჩვენი ერის უმრავლესობის ინტერესებსაც. პირიქით, ჩვენი ხალხისთვის სასარგებლოა და აუცილებლათ საჭიროა მჭიდრო კავშირი სხვა ტომთა ხალხთან, რომ მათ შეერთებული ძალით უკეთ დაიცვან თავი როგორც თავის ტომის, აგრეთვე სხვა ტომის გაბატონებულ კლასების ექსპლოატაციისაგან და უკეთ შეებრძოლონ საერთო მტერს.

—

ამგვარათ, ჩვენ შევადარეთ ერთმანეთს სამი მიმართულება—«მამულიშვილობა», «ეროვნობა» და «ხალხის სამსახური». ჩვენ ვნახეთ, რა ნიადაგზეა ისინი ამოსული. სამივე არის **კლასობრივი** მოძღვრება იმ მხრით, რომ სამივე გამოხატავს სხვადასხვა ეკონომიურ ჯგუფთა, კლასების ინტერესებს. მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ მათ ერთნაირი მნიშვნელობა არა აქვთ. ჩვენი ცხოვრების მატერიალურ პირობების და საზოგადოებრივ ძალთა განწყობილების გამო პირველი ორი მოძღვრება აფერხებს პროგრესს, ეწინააღმდეგება საზოგადო ინტერესებს, ვერ ჰპოებს თანამედროვე ცხოვრების მიმდინარეობაში მკვიდრ საფუძველს მაშინ, როდესაც მესამე ერთიანათ აშენებულია ერის დიდი უმრავლესობის ინტერესებზე, მოასწავებს ცხოვრების შეუჩერებელ წინსვლას და განახლებას, და მაგრათ აქვს დღეს ჩვენში გადგმული მოზარდი და ცოცხალი ფესვები.

ვისაც რა მოძღვრება სურს, მას მიეკედლება. მაგრამ იმას კი ნუ დაივიწყებს, რომ მესამეში და მხოლოდ მესამეშია შეერთებული და გამოხატული მთელი ჩვენი მამულის, მთელი ჩვენი ერის, მთელი ჩვენი კულტურის ინტერესი, და რომ

ამ ინტერესთა სამსახურით, ესე იგი მშრომელ ხალხში შეგნების და თვითცნობიერების განვითარებით, მას შეუძლია ემსახუროს პროგრესის საქმეს და დააჩქაროს ის, რაც ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენს...

ყვირილელი.

შინაური მიმოხილვა.

ჩვენი იძულებული სიჩუმის დროს ბევრი რამ ისეთი მოხდა ჩვენს შინაურ ცხოვრებაში, ბევრიც ისეთი გამოაშკარავდა, რომელთა გვერდის ავლა არ შეგვიძლია, და ამის გამო შესაძლებელია ზოგიერთ მოძველებულ ამბებსაც შევეხოთ, მაგრამ, იმედი გვაქვს, მკითხველი არ გვისაყვედურებს, რადგან იცის, რომ ხშირათ ჩვენ არ ვართ ჩვენი თავის ბატონი, ჩვენ სიჩუმეს საპატიო მიზეზი ქონდა ზოგი „შინაური“ და ზოგიც „გარეგანი“.

მართალია, ჩვენი ეგრეთ წოდებული საზოგადო ცხოვრება ისეთი ჩქარი ნაბიჯით არ მიდის წინ, რომ ერთი თვის განმავლობაში ბევრათ ჩამოვრჩეთ მას, მაგრამ თვით ჩვენი და მკითხველის დაშორებაც საკმაოთ სამწუხარო მოვლენაა ორივესთვის და მით უფრო გულმოდგინეთ შევუდგებით ჩვენი ცხოვრების ავ-კარგის ანუსხვას.

* * *

დავიწყოთ ჩვენი ბრწყინვალე წოდების კრებებით.

დიდი ხანია საკამათო საგნათ არის გამხდარი ჩვენში ამერ-იმერთა თავად-აზნაურობის კრებების შედარება დახასიათება. ზოგი ამტკიცებს, რომ იმერეთის თავად-აზნაურობა უფრო ლიბერალურია, ვიდრე ამერეთის, ზოგიც იმ აზრისაა, რომ იმერეთში მეტს ლაპარაკობენ, ხოლო ამერეთი უფრო საქმეს აკეთებსო.

არ ვვაქვს წარმოდგენილი, თუ რამდენათ შეიძლება გალიბერალება დროს-გადასულ წოდებრივ ორგანიზაციებისა და ამიტომ გადაჭრით არას ვიტყვით, მაგრამ იმერეთში რომ უფრო მეტი სიცოცხლე ეტყობა კრებებს და ზოგიერთ საჭირ-ბოროტო კითხვებზედაც უფრო თამამათ ლაპარაკობენ, ეს კი მართალია. მართალია ისიც, რომ იქ უფრო ნაკლებათ არის ფეხ-მოკიდებული ბალიაღობა და, ასე გასინჯეთ, თვით იმ წრესაც იმერეთის აზნაურობისა, რომელიც ამერეთის გენერლობის როლის მიკუთვნებას ფიქრობდა, ეგრეთ წოდებულ ინტელიგენციასაც, ვერ დაუმორჩილებია თავად-აზნაურობა. ყველაფერი ეს გამოირკვა ამ წლის კრებებზე.

მაგალითათ, იმერეთის თავად-აზნაურობამ აღძრა წელს ისეთი მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც ყოველი ქართველისათვის, განურჩევლათ წოდებისა, ერთნაირი სავალალოა. ეს იყო დედა-ენა და მისი ადგილი ჩვენ სკოლებში. მეტათ ბევრი უსიამოვნობა და პირდაპირ რეალური ზარალი უგემია ბევრს ჩვენგანს და ყოველ შეგნებულს პირს უგრძვნია იმ უკულმართი მეთოდისაგან, რომელიც დღემდი გაბატონებულ მრავალ სკოლებში; ბევრი ჩვენგანი დაუღონებია და ჩაუფიქრებია იმ გარემოებასაც, რომ საშუალო სკოლებიდან თითქმის განდევნილია სამშობლო ენა. აი, ამ მწარე საკითხს შეეხო იმერეთის თავად-აზნაურობა, სამართლიანათ წამოაყენა იგი, დაასაბუთა და გადაჭრა კიდეც, თუ მის შუამდგომლობას რამე შედეგი მოყვა. სამწუხაროთ, ამერეთის თავად-აზნაურობას ჯერ მგონი არც შეუტყვია ამ კითხვის არსებობა.

ასეთსავე პარალელს ვერ გავატარებთ სხვა კითხვების შესახებ თუ ლიბერალობაში უსწრებს იმერეთი აღერეთს, სამაგიეროთ ისეთ კურიოზულ მსჯელობასაც ვერ მოისმენ აქ კაცი, როგორიც იმერლების გოჭ-ქათმების წინააღმდეგ ამხედრება იყო და მოწინააღმდეგე სასჯელთა დებულების შემუშავება, რომელიც სიკვდილით დასჯით უნდა დაწესებულიყო, და მერე იცით, ამ საგანზე დიპლომიანები, „ფასზოვდეთ მოლვაწის“ დიპლომით აღჭურვილი აზნაურები ლაპარაკობდენ?! ლაპარაკობდენ დიდი გატაცებით და კანონმდებლობითი ინიციატივაც კი მიიღეს თავზე. და ამაზე სწორეთ იმ დროს ჩამოაგდეს სიტყვა, როცა მიწათ-მფლობელთა და მიწათ-მომქმედთა დამოკიდებულება ასე თუ ისე გამწვავებულია, როცა სულ სხვა ზომებია საჭირო და არა მარტო პოლიციური ზომები და თვითნებური სამართალი...

კიდევ უფრო საკვირველი იყო მეორე კითხვის გადაჭრა, რომელიც თავად-აზნაურთა შვილების აღმზრდელთა მატერიალურ უზრუნველყოფას ეხებოდა. თუ პირველ კითხვის დროს წოდებრივი ინსტინქტი ამოქმედებდათ კრების წევრებს და დარწმუნებული იყვენ წვრილი მესაკუთრის გოჭ-ქათამს შეეხებოდა მათთვის სასურველი კანონი, ხოლო მათსას ვერავინ ვერაფერს კადრებდა, რადგან სხვა ძალაც აქვთ ხელში წვრილების ასალაგმავათ, მეორეში ხომ აშკარა იყო, რომ მარტო და მარტო მათ შვილებზე ზრუნვის მეტი არა იყო-რა. კარგი აღმზრდელი და მასწავლებელი თ კ გინდა გყავდეს, რასაკვირველია, საჭიროა მათი უზრუნველყოფა და მხოლოდ ამ კარგ მასწავლებლებს შეუძლიათ რიგიანათ სწავლების საქმის მოწყობა. ქუთაისის თავად-აზნაურობამ კი ასეთ მნიშვნელოვან კითხვას მეტათ გულგრილათ შეხედა. გულგრილათ შეხედეს მას ზოგიერთმა შკოლის სამზრუნველო კომიტეტის წევრებმაც, თუმცა მათთვის ყველაზე უფრო სავალდებულოა მასწავლებლებზე ზრუნვა, და კითხვა კომისიაში გადაცეს (ეს იყო ბანკის კრებაზე). ბანკის კრებას შეეძლო კრედიტი გაეხსნა ამ საქმისათვის, რამდენიც მოსახერხებელი იყო, ხოლო საქმის მომწყობი ორგანო კი ყავს შკოლას, როგორც ქუთაისში ისე თფილისშიაც. საჭირო იყო მატერიალური დახმარება და ამ კითხვას ბევრი ხაზი და ლარი არ უნდა, თუ ფული აქვთ —კითხვა მომწიფებულიც არის და გადამჭყვებულიც.

* * *

მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ჩვენზე უკეთ იცნობენ ქუთაითურები ადგილობრივ კომიტეტს, იცნობენ მისს „მზრუნველობას“, რომელიც იმდენათ თავგამოდებულია, რომ ერთხელაც არ დაუთვალიერებიათ ძველი-სენაკის სასწავლებელი ჯ არც კი აქვთ წამოდგენა, თუ რა ხდება იქ. ქუთაისის სასწავლებელშიაც მხოლოთ შემთხვევით თუ შეიხედავს რომელიმე წევრი და აბა რა ნდობა უნდა ქონდეს ასეთ კომიტეტს ადგილობრივ საზოგადოებაში. სხვას რომ თავი დავანებოთ, თვით მასწავლებელთა პენსიების და ჯამაგირების ვომატების შესახებ კითხვა აღძრა შკოლის გამგემ და არა კომიტეტმა, რომლის, მგონი, ყველა წევრები თავადაზნაურთა კრებისა და ბანკის წევრებიც არიან. დიახ, ამ კომიტეტის ნდობა აქვს მხოლოდ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას, რომელიც თვითონ იშვიათათ ათვალიერებდა დღემდი თავის შკოლებს და ისიც წლის დამლევს, გაკვრით, როცა პედაგოგი წევრები განთავისუფლდებიან თავიანთ მოვალეობისაგან. და სწორეთ ღირსია ეს გამგეობა ისეთი სიურპრიზებისა, როგორიც, მაგალითათ, წელს გამოირკვა.

მოგეხსენებათ, დიდი ქებითა და დიდებით იხსენიებდა გამგეობაც და ქუთაისის ინტელიგენციაც სამსონ ყიფიანს სენაკის შკოლის შენობის აგებისათვის. ამ კითხვის სიმწვავე ჟამთა ვითარებამ გაიყოლია და ბოლოს შკოლას დარჩა მაინც შენობა, როგორც და რა ხარჯთა სისწორითაც არ უნდა იყოს აშენებული. სახლი იყო შკოლისათვის, მაგრამ გამვლელ-გამომვლელთ რომ კითხო, ამბობენ, ამ დიდ შენო-

ბაში მასწავლებლებს მოუკალათებიათ, შკოლა კი ძველ, ნახევრათ დანგრეულ სახლში დაუტოვებიათ. აბა კითხეთ ქუთაისის კომიტეტს, რომელიც სულ ოთხი საათის სასიარულო მანძილზეა სენაკიდან, თუ ჩაწვეთებია ეს საქმე ყურში ივნისის პირველ რიცხვებამდი? და თუ ჩაწვეთებიათ, კიდევ უარესი.

რა და რა მოსაზრებით შეუძლიათ თავის გამართლება ამ საქმეში?

*
* *

ამისთანა ფაქტებმა აიძულა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა გაიჩინოს საკუთარი მეთვალყურე შკოლებისათვის, რაც ძლიერ მოსწონს ბ. ყუმისთაველსაც („ივ.“ № 147). მოგვწონს ეს გადაწყვეტილება ჩვენც, მაგრამ არ გვესმის, რათ დაჭირდა ბ. ყუმისთაველის „მოსაუბრის“ ხელის წამოკვრა. პირველათ მე ვთქვი „ეეო“ გაიძახის ბ. ყუმისთაველი გოგოლის გმირივით და ახლა გამგეობამ მომცა ბანი, თუმცა მოსაუბრემ დამიწუნაო. რამდენათაც მაგონდება, მოსაუბრე წინააღმდეგი იყო რევიზორის თანამდებობასთან ეგრე ვთქვათ ხარჯის ამკრების თანამდებობის და სხვა მრავალთა დაკისრებისა, და დარწმუნებული ვართ ახლაც ამას იტყვის, თუნდაც რომ გამგეობა მიმხრობოდა (?!) კიდეც ბ. ყუმისთაველის აზრს, თუმცა ვინ იცის ყუმისთაველის რომელი აზრია მისაღები ყურადღებაში. შარშან, მაგალითათ, ყუმისთაველი, თანახმათ გამგეობის აზრისა, წინააღმდეგი იყო რევიზორის თანამდებობის დაარსებისა, უმთავრესათ უსახსრობის გამო, წელს კი „**თუმცა ამ უკანასკნელ წლებში არც საზოგადოების ნივთიერ ღონისძიებას, არც საზოგადოების შკოლების რაოდენობას არ უმატნია**“, მაგრამ ბ. ყუმისთაველი მეტათ დიდმნიშვნელოვანათ თვლის გადაწყვეტილებას, დიდი ალტაცებით ეგებება მას. არ ვიცით რა მოხთა შარშანს აქეთ, გარდა იმისა, რომ ამ კითხვას გამგეობის უმრავლესობა მიემხრო. და თუ მარტო ეს გარემოება არის ყუმისთაველის ალტაცების უმთავრესი ან შეიძლება ერთადერთიც საბუთი, მაშინ, რასაკვირველია, თამამათ შეუძლია დაბჭოს მოსაუბრე ასეთი არგუმენტით, როგორც გამგეობის აზრია... მაგრამ ყველა ხომ ყუმისთაველიდან არ არის, რომ ასეთი არგუმენტებით ისაზროს...

*
* *

6 ივნისს ქუთაისის ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე კ. ი. ნიკოლაძისა, რომელსაც ბრალი ედებოდა ინჟინერ ცეიტლინის სიტყვით შეურაცხყოფისა. ეს საქმე იყო გაგრძელება ჭიათურის მრეწველთა კრებისა, რომელმაც ჩვენც და მკითხველებსაც ბევრი დრო წაგვართვა, მაგრამ სამაგიეროთ დაგვანახვა ქუთათური მოღვაწეების ფიზიონომია. ცეიტლინი იყო კრების თავმჯდომარე, მართებლობის მიერ დანიშნული, მაგრამ აშკარა მომხრე ზდანოვიჩის პარტიისა და მათი ხელის დამფარებელი და აი სწორეთ ამ ხელის დაფარების სურვილმა მიიყვანა საქმე სასამართლომდი. ბრალდებულ ნიკოლაძეს იცავდა ნაფიცი ვექილი ფალავა, რომელმაც, გულ-ახდილათ უნდა ვთქვათ, რიგიანათ დააყენა კითხვა და დაურიდებლათ განქექა მარგანეცის დევ-გმირები... ბრალდებულის მოწმეების დახმარებით მან გამოააშკარავა ის, თუ როგორ ექცეოდენ კრებაზე საბჭოს მოწინააღმდეგე გაზეთების წარმომადგენლებს, როგორ ეჭირა თავი თავმჯდომარეს და სხვა და სხვა. ჩვენთვის ნაკლები ინტერესი აქვს თვით ცეიტლინის პიროვნებას, ის ჩვენი ცხოვრების გარეშე მდგომი პირია და არც არაფერი შეეხებოდა, რომ მარგანეცის მრეწველობის ხორცმეტთათვის არ ჩაეთრევინებია თავი. ამიტომ, გაამართლეს თუ გაამტყუნეს ნიკოლაძე, რაც წინააღმდეგ უნდა იქნეს გაგებული ცეიტლინისთვის, ჩვენთვის სულ ერთია. სასამართლოს განაჩენს ქონდა აზრი და მნიშვნელობა ჩვენთვის, შებრძოლებულ ჯგუფებისათვის. ამ შემთხვევაში სასამართლო ნამდვილი საზოგადო სამსჯულოს წარმოადგენდა, როგორც დაინტერესებელი ჭიათურის შავი-ქვის საქმეებში. რასაკვირველია, წინააღმდეგს ფიქრობს ბ. Ом-ი, რომელიც, სრული დარწმუნებული ვართ, ბუკსა და ნაღარას დაკრავდა, სასამართლოს განაჩენი რომ მისი მოსაწონი გამომდგარიყო. ახლა კი ის ბრძანებს „Н. Обозр.“-ში, სასამართლოს მაჯავრს ამ საქმეში ადგილი არა ქონდაო, არც მნიშვნელობა ექნებოდა, კიდეც რომ გაემტყუნებიათ ბ. ნიკოლაძეო. მისი (ნიკოლაძის) საქციელი უკვე განსაჯა საზოგადოებამ და ამიტომ სასამართლო კარგათ მოიქცა, რომ არ დასაჯა ნიკოლაძეო.

ჩვენ ვიცით, რა საზოგადოებაში ტრიალებს ბ. Ом-ი და ისიც ვიცით, რა ამოძრავებს მის მსუბუქ ენას, ვიცით, რომ მისთვის საზოგადოება იმ წრით განისაზღვრება, რომელიც ბექანეიშვილის მაღაზიასთან ტრიალებს, და რომელსაც შეეხებოდა ნიკოლაძის სიტყვები, მიუხედავათ იმისა, ცეიტლინს მიმართა ამ სიტყვებით თუ კიდევ ვისმე სხვასაც. აშკარაა, რომ არა თუ მწერლობის, ერთი კორესპონდენტისაც ძალიან შინებია ამ ჯგუფს... თუ საზოგადოების აზრით კმაყოფილდებოდენ, მაშინ რათ დაჭირდათ სასამართლო, რათ დაჭირდათ ნიკოლაძის კორესპონდენტობისაგან გადაყენება და სხვ. მაგრამ Ом-ი რის Ом-ია, თუ ამისთანა ნახტომებმა გააწითლეს! ის ამბობს, ეს საქმე პროკურორმა დაიწყოვო (ვითომ ცეიტლინის სურვილის წინააღმდეგ). მერე ესეც უნდა დავიჯეროთ? ძალიან კი ცხელათ პროკურორებს იმის სადევრათ, თუ ვინ რას ეტყვის ცეიტლინებს. მაგრამ ღირს კი პასუხის მოთხოვა ისეთი ცრუ პუბლიცისტისაგან, რომელიც ინსინუაციებსაც არ ერიდება და გაზეთში იმასა წერს, თითქო ცეიტლინს იმიტომ ემტერებიან ზოგიერთები, რომ ის ჩამომავლობით ებრაელი არისო. ეს ჭორია, ჭორი ყველასათვის აშკარა, ბექანეიშვილის მაღაზიის წინ ან ზევით შეთხზული და მერე გაზეთში გამოფენილი. არ გვიკვირს ასეთი საქციელი Ом-ისაგან! მაგრამ გაზეთი როგორ უთმობს ადგილს ასეთ საზიზღრობას? აი, რა არის საკვირველი.

*
* *

ზევით ჩვენ ვლაპარაკობდით თავად-აზნაურობაზე და სხვათა შორის ვთქვით, რომ „ინტელიგენციას“ თავად-აზნაურობაშიც ვერ აქვს ფეხი მაგრათ მოკიდებული-თქო. ეს დაამტკიცა გუბერნიის წინამძღოლის არჩევნებმა, რომელზედაც, წინააღმდეგ თ. ლორთქიფანიძისა, ამ ინტელიგენციის კანდიდატისა, აირჩიეს თ. ნიჟარაძე. ჩვენ არც ერთ კანდიდატზე არას ვიტყვით, შეიძლება ორივე კარგი იყოს, ან ორივე უვარგისი, მაგრამ ვაქცევთ ყურადღებას ამ გარემოებას, როგორც „მოღვაწე ინტელიგენციის“ უძლურების მაჩვენებელ ფაქტს, და ამ მხრით ეს მეორე დახმარება ხვდა წილათ უკანასკნელ ხანებში იმერეთის „მამებს“...

სხვა-და-სხვა ამბები

როგორც ვიცით, ქუთაისის თავად-აზნაურთა ამ წლის კრებაზე გადაწყვეტილი იყო შუამდგომლობის აღძვრა ჭიათურის რკინის გზაზე ტარიფის დაკლების შესახებ. ამის შესახებ ტელეგრამით აცნობეს ფინანსთა მინისტრს, ტელეგრამითვე სთხოვეს დიდ-მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს ფინანსთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა გაეწია. ახლახან ქუთაისის სიგუბერნიო წინამძღოლის თანამდ. აღმასრულებელმა ტელეგრამა მიიღო, რომ ჭიათურის შავი-ქვისთვის ტარიფის დაკლება შეუძლებლათ იცნო ფინანსთა სამინისტრომ.

თბილისში 20 ივნისს ღამე წვიმა მოდიოდა განუწყვეტლივ და დილით 7 საათზე ისეთი ნიაღვარი დადგა ქუჩებში, რომ გავლა შეუძლებელი შეიქნა. ყოველი მოძრაობა შეჩერდა. ქუჩებში წყალი მდინარესავით აზვირთებული მოდიოდა, ფარავდა ტროტუარებს და ჩადიოდა სარდაფებში. კონკების და ეტლების მოძრაობა შეწყდა. წყალს მოქონდა სილა, ქვები, ტალახი, სახლებიდან გამოტაცებული ნივთები, ფიცრის ნაჭრები და სხვ. ბევრი სახლები, განსაკუთრებით მთების ძირში, წყლით აივსო. შიგ ავეჯეულობა სულ ერთიან გაფუჭდა. გოლოვინის პროსპექტზე წყლის დაკლების შემდეგ აღმოჩნდა დამხრჩვალი თოთო ბავშვი. ბევრი ზარალი მიაყენა ნიაღვარმა კოჯორის გზას. წყალმა მიმავალ ომნიბუსებს მოასწრო გზაში. შიგ მსხდომნი, როგორც იქნა, გადარჩენ, მარა ომნიბუსები და ცხენები კი დაიღუპენ. წყალმა ისინი მტკვარში ჩაიტანა. ორი ცხენი ცოცხალი გადარჩენილიყო რაღაც შემთხვევით. იპოვეს ზოგიერთი ნივთებიც. ბევრი ნივთები და დოკუმენტები დაიღუპა პასსაჟირებისა.

ხუთშაბათს, 26 ივნისს, ტფილისში საგრძნობლად იძრა მიწა. მიწის ძვრა მოხდა ნაშუადღევის 4 საათსა და 20 წუთზე.

---

21 ივნისს ცხინვალში დიდი სეტყვა მოსულა. სეტყვას სულ ერთიან გაუფუჭებია ნათესობა, ვენახები და ბაღები.

პროფესორი ალ. ხახანაშვილი ამ თვის გასულს სვანეთს მიდის. მას მისდევს ჩვენი ისტორიისა და არქეოლოგიის მკვლევარი და მცოდნე მამა პოლიევქტოს კარბელაშვილი. ამავე დროს ჩამოვა მოსკოვიდან იქაური ფოტოგრაფი ტყეშელაშვილი, რომელიც აგრეთვე ბ-ნ ხახანაშვილს გაყვება და სვანეთის სიძველეთა სურათებს გადიღებს მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებისათვის.

როგორც „კავკ.“-ს ატყობინებენ, მთავარმართებელი პეტერბურგიდან 1 ივლისს წამოვა.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, ამ წლის პირველ ივლისიდან ახალ წესებს შემოიღებენ უქმე-დღეობით მუშაობის შესახებ საფოსტო და სატელეგრაფო დაწესებულებებში. მუშაობა სრულებით არ იქნება აღდგომისა და შობის პირველ დღეებში. ორი საათი უნდა იყოს მუშაობა ახალ წელიწადს, ხარებას, ვნების კვირის პარასკევსა და შაბათს, ხელმწიფე იმპერატორისა და დედოფლების სახელწოდების დღეებში. ოთხი საათის მუშაობა ფოსტამტებში და სამი საათისა სხვა და-სხვა დაწესებულებებში: კვირაობით, ნათლიღებას, მირქმას, ფერისცვალებას, ღვთის მშობლის მიძინების დღეს, ღვთისმშობლის დაბადების დღეს, ჯვართ-ამაღლებას, პირველ ოქტომბერს (საფარველი ღვთისმშობლისა), ღვთის მშობლის ტაძრად მიყვანების დღეს, ამაღლებას, სულ-მოფენობას და შობის მეორე დღეს.

დიდი წვიმები და ნიაღვრები 21—22 ივნისს მარტო თფილისში არ ყოფილა. როგორც ქართლიდან და კახეთიდან იტყობინებიან, ნიაღვრები თითქმის ყველგან ყოფილა. რკინის გზაზედაც ბათუმისკენ ძალიან წვიმები იყო. ბევრგან ისეთი დიდი წყალი მოვარდნილა, რომ ლიანდაგი დაუფარავს და მატარებლები შეუჩერებია. გზა ბევრგან შეიკრა.

თფილისში არსდება ახალი ქართული საზოგადოება, რომელსაც აზრათ ექნება შეკრიბოს და გამოსცეს სახალხო სიმღერები, გამოსცეს სამეცნიერო გამოკვლევანი ჩვენი სიმღერა-გალობების შესახებ, ხელი შეუწყოს სამუსიკო ცოდნის გავრცელებას სალამოების, კონცერტების და სხვ. გამართვით. საზოგადოება დაეხმარება აგრეთვე ყველა იმათ, რომელნიც მოისურვებენ სწავლას რუსეთისა თუ საზღვარ-გარეთის სამუსიკო სასწავლებლებში. საზოგადოებას წესდების ძალით ნება ექნება გამართოს საკუთარი მუზეუმი სამუსიკო იარაღისა, იქონიოს ბიბლიოთეკა, სამკითხველო და სხვ. საზოგადოება შეადგენს მომღერალთა გუნდს. საწევრო გადასახადი 5 მანათია. საზოგადოების დამფუძნებელ წევრებათ ჩაეწერა 60 კაცი. წესდების პროექტი უკვე წარედგინა დასამტკიცებლათ თფილისის გუბერნატორს.

საეროზო დარაჯი შავი ზღვის პირის გუბერნიაშიც შემოიღეს. შუამდგომლობა ამის შესახებ აღძრა ადგილობრივმა გუბერნატორმა გენერალმა ვოლკოვმა. შეიწყნარა ეს შუამდგომლობა კავკასიის მთავარმართებელმა. დარაჯში 140 კაცი იქნება; აქედან 2 უფროსი ურიადნიკია, 7—უმცროსი, 23—უფროსი დარაჯი და 108—უმცროსი.

ამას წინათ ხმოსანმა ყარა-მურზამ მოხსენება წარუდგინა თფილისის საბჭოს. ხმოსანი თხოულობდა დიდუბელთათვის სამკურნალოს გამართვას. გუშინ გამგეობას მოხსენება წარუდგინა ხმოსანმა ნ. ნ. თამამშევმა, რომელიც აცხადებს, რომ მეტი იქნება დიდუბელთათვის სამკურნალოს გამართვა, რადგან ამ კუთხის მცხოვრებნი უმთავრესათ რკინის გზის მოსამსახურენი არიან, და მათთვის რკინის გზის სამკურნალო არსებობსო. თამამშევის აზრით, სამკურნალო უნდა დაარსდეს პოლიციის 1, 2 და მე-3 ნაწილის მცხოვრებთათვის, რადგან აქ ორი ექიმი მუშაობს და ისინი ვერ ასდიან საქმეს.

კორესპონდენციები

აბაშის საზოგადოება (ქუთ. მაზრა). როგორც წინა კორესპონდენციაშიც ვწერდი, აქაურები ძლიერ დაქვეითებული არიან ყოველა საზოგადოებაზე. ამ საზოგადოებაში არც სამკითხველო-ბიბლიოთეკა არსებობს და არც სხვა სოფლისთვის სასარგებლო რამ დაწესებულება. ყველაზე უფრო დიდ გაჭირვებას ითმენს ხალხი უექიმობით და სად. საჯავახოში ფოსტის უქონლობით. როგორც ყოველგან და ყოველთვის, აქაც ხშირია სხვადასხვა გადამდები ავათმყოფობანი: მაგ., ყვავილი, წითელა, მუცელა, ყელჩირვება და ბევრიც სხვა ჩამომრები ავათმყოფობანი. ყველა ამისათვის ექიმი და ფერშალია საჭირო, მაგრამ ხალხი მათ იმდენათ არ უჯერებს, რამდენათაც სოფლის მარჩიელებს და თუ ვინმეს ყვავილი ან წითელა დაემართა, მაშინვე იტყვიან დიდი ბატონები არისო. მოუვლებიან რაღაც სისულელის როშვას და ქადაგს, ვითომ და „დიდი ბატონები“ არ გაჯავრდესო და, ის კი არ იციან, რომ ამ მხიარულებაში და «გართობაში» ავათმყოფს უფრო გული უწუხდება და ხშირათ კვდება. ერთი სიტყვით, მათი უცოდინარობით ვერ გაუგიათ, რა არის ამ სხვადასხვა გადამდებ სენისათვის მარგებელი და მავნებელი. აი სანამდის აღწევს ხალხის უმეცრება! ისიც მეოცე საუკუნეში!! მაგრამ რა გვეთქმის სიბნელეში მყოფ ხალხს?!. თუ რამე დასწერეთ და განაცხადეთ საზოგადოებაში, მერე იქ დგომა აღარ შეგეძლებათ, ყველა განზე გიყურებს... ეს რამდენიმე თვეა, რაც რუსეთიდან ჩამოვიდა სამედიცინო ფაკულტეტზე კურსდამთავრებული ერთი აქაურ საზოგადოებისვე მცხოვრები ყმაწვილი კაცი. მოსალოდნელი იყო ხალხის გაუნათლებლობას მხედველობაში მიიღებდა და რიგიანი ქცევით მათ გულს მოიგებდა, მარა იმედი ვერ გაგვიმართლა. მეტისმეტათ ფულის მოყვარული გა-

მოდგა. რაც უნდა გაჭირვებული და დატაკი სოფლის გლეხი მივიდეს მასთან, ის მაინც თავის დიპლომს ძვირათ უფასებს; ბევრი ფულის გადება დარიბს კი არა, კარგათ შეძლებულ გლეხსაც კი გაუჭირდება. გლეხიც ხშირათ ანებებს თავს ავათმოფოს ისესხებს სიდანშე და ვიდრე ეს ვერცხლის მოევარე ექიმი ავათმოფოს გასინჯავდეს, მანამდე უნდა ჩაუთვალოს ხელში, თორემ ისე ფეხსაც არ მოიცვლის სახლიდან. ასეთი ქცევით ექიმი გლეხს სულ ათრთხობს. აბა სად იხადოს ექიმისთვის დიდი ფული, რომ შიმშილით კუჭი უხმების და ჯანმრთელებიც შიმშილით ეხოცება? ჩემი აზრით, ამისთანა შემთხვევაში ექიმი ზნეობრივათ მოვალეა უოველ გაჭირვებულს ხელი შეუწეოს უსასყიდლო დახმარებით, ან მცირე სასყიდლით მაინც.

სადგურ საჯავახოში ფოსტის უქონლობამ ხალხს ხომ სული შეუხუთა! თითქმის მთელი გურიის მცხოვრებლები იმ სადგურზე იერის თავს და რადგან ამ სადგურზე ფოსტა არ არსებობს, ამიტომ იძულებულია ისევ სადგურ სამტრედიაში ავიდეს თუ რამ აქვს ფოსტით გასაგზავნი ან მისადები. ამდენ მისვლა-მოსვლაში გლეხი მთელს საშუალო დღეს აცდენს, რაც მისთვის ცოტა ზარალს არ შეადგენს. ამ საქმის გასხორციელება ძალიან ადვილათ შეუძლიათ და შეიძლებენ კიდევაც აქამდე, რომ მარტო ბანქოსა და ნარდის თამაშში არ იეკვენ გართული. მადამ დღე ამ სადგურის გაჭრები და წვრილი მედუქნეები.

მათთვის დიდ დანაკლისს არ შეადგენს ის წვლილი, რაც მათ ფოსტის დარსებაში შეხვდებათ წილათ და, სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ მათთვისაც ერთ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს! უფრო კარგს იზამდენ კიდევ, რომ ამ სადგურის უფროსს ბ-ნ ვ. ბარკალაიას თხოვდენ ამ საქმეში დახმარებას, რომელიც ორი თვე არ არის რაც აქ უფროსათ დანიშნეს.

იმედია, საჯავახოელები უეურადღებოთ არ დატოვებენ ამ მათთვის და სოფლელებისათვის საჭირო დაწესებულებას და ამ სადგურზე ფოსტას დარსებენ.

უ. ᲮᲐ—ი.

P. S. «ᲙᲕᲐᲚᲘᲡ» უკანასკნელ მე-20 №-ში მე მცირეთ შეგეხე სადგურ საჯავახოს უფროს გამგეს მის მიერ ხალხის აბუჩათ აგდების გამო. მას შემდეგ არ გაუვლია ხანი, რომ ხსენებული უფროსი გამოცვალეს და მის მაგიერ ბ-ნი ვასილ ბარკალაია დანიშნეს ამ სადგურის უფროსათ. რადგან შესაძლებელია, რომ ახალმა უფროსმა თავისთავზე მიიღოს ეს შენიშვნა, (ზოგიერთები ამბობენ, ვითომ მე ბ. ბარკალაიას ვკიცხავდი მაშინ) ამისთვის საჭიროთ მიგვაჩნია ვთქვათ, რომ ხსენებული მცირე შენიშვნა ეოფილს სადგურის უფროსს ეხებოდა და არა ახლათ დანიშნულს მის მოადგილეს.

უ. ᲮᲐ—ი.

—

ᲡᲝᲤ. ᲡᲕᲘᲠᲘ (ქუთ. მაზრა). სვირისთანა დიდი სოფელი ზემო იმერეთში არ მოიპოვება. ეს სოფელი შეიცავს დაახლოვებით ორიათასს კომლს, ანუ ათიათასამდე სულს. რიცხვი საკმარისია! რადგან ბუნებას მიუცია სვირელებისთვის შესანიშნავი ნიადაგი ვენახის გასაშენებლათ, ამიტომ ისინი მედვინეობას მისდევენ. სხვა მეურნეობას აგრე რიგათ არ მისდევენ, რადგან ამ მხრივ ბუნება ხელს არ უწყობს; მაგ., აქ სიმინდი იმდენი მოუავთ, რამდენიც თავის გამოსაკვებათაა საჭირო. ამ ექვსა წლის წინეთ ფილოქსერამ კინადამ გამოაცალა სვირელებს ვენახი ხელიდან, მაგრამ წამლობამ ეს ავათმოფობა თითქმის ძირიანათ მოსპო. ვენახს ამ ბოდო ხანს კარგი ბირი უწანს. სვირულ დვინოს უველგან ძლიერ კარგი ბაზარი აქვს. სვირელი უკანასკნელი გლეხი წელიწადში ოცი თუმნის დვინოს მაინც გაუიდის. ხოდო უფრო შეძლებული გლეხის წლიური შემოსავალი ხშირათ ათას, ათას ხუთას მანეთს აღემატება ხოდმე, თუმცა ბრიმიტიული იარაღით მუშაობს. ამ ვეებერთელა სოფელში სხვადასხვა წოდებებს ვერ შეხვდები. აქ არის ერთი კომლი, ჩამოსახლებული თავადი, მაგრამ ისიც, დღეს თუ ხვალ, ამ სოფლიდან გაემგზავრება სადმე.

სვირში ამ ორი წლის წინეთ მედვინეობის ამხანაგობა დაარსეს, მაგრამ მას ჯერჯერობით წინ მსვლელობა არ ატეკვია. მოშავალი ადამიანმა უწყის...

ამ ბოდო ხანს სვირში აბრეშუმის მოყვანა [illegible] მაგრამ ამ მხრივ სვირელი მეაბრეშუმეები დიდ ნაბიჯს ვერ წადგმენ წინ, რადგან ისინი ბრიმიტიული წესით უყვანენ აბრეშუმს. სჯობს რამოდენიმე გლეხი ერთათ შეერთდენ და გაუმჯობესებული მოწყობილებით მოკიდონ ხელი საქმეს. აი მაშინ დაინახავენ ისინი თავიანთ ნამოქმედარის სასურველ ნაყოფს.

სვირში არსებობს ორი შკოლა: სამინისტრო და სამრევლო. ერთმანეთზე ძლიერ დაშორებული არიან ეს შკოლები. შუაგულ სოფლიდან რომ რომელიმე შკოლაში იარონს ბავშვმა—საათს მაინც მოუნდება. უმეტესათ ზამთრობით უჭირთ ბავშვებს სიარული შკოლაში ცუდი ამინდის დროს. ქალების შკოლა სვირში არ არსებობს. სვირელებს თუ ცალიათ (ძალიან ნაკლებათ!), ისევ ვაჟებისათვის. ქალების სწავლა ზედმეტათ მიაჩნიათ.

წიგნთსაცავ-სამკითხველო სვირელებმა არ იციან რა ხილია. აქ გლეხების ოჯახში კაზეთის გარ იპვნი, მაშინ რომ კაზეთი გურულ გლეხაცის ოჯახში აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. აი ამდენათ გასაწყრეს გონებრივათ გურულმა გლეხებმა ზემო იმერეთისას.

სვირში ბევრი არიან ქალაქის სასწავლებლებში სწავლადამთავრებულნი, მაგრამ ისინი ჩვენ არ გვეკვეს მხედველობაში; ჩვენ მხედველობაში გვაქვს საერთოთ ხალხის სწავლა-განვითარება. ამ მხრივ კი სვირი არასასურველ მდგომარეობაშია.

ახლა არ იკითხავთ—რას შვრებიან სვირის «განათლებული» ბირები, ანუ ინტელიგენტები? უოველ კვირა-უქმე დღეს დაყობაში ატარებენ დროს. ხალხის გონებრივ განვითარებაზე ზრუნვა მათ ზედმეტათ მიაჩნიათ. წიგნთსაცავ-სამკითხველოს დაარსება აზრათაც არ მოსდით. ჯერ მათთვის კიდევ არ გათენებულა!.. დეე, თავიანთ სურვილ-სამებრ იძინონ!..

პეგისავა.

—

Ს. ᲡᲣᲠᲔᲑᲘ (გურია). მიუხედავათ იმისა, რომ სურებლებს სულაც ვერ დავსწამებთ უკან ჩამორჩენას, მათ მაინც შერჩენიათ ერთი სასაზღვარი ჩვეულება, რომელიც დაწინაურებულმა სოფლებმა კარგა ხანია თავიდან მოიშორეს. მე ვამბობ მიცვალებულის «ტირილზე», რომელსაც ამ ხანათ საავტორო ხასიათი მიუღია. მიცვალებულის პატრონი ახდენს ტირილს უფრო იმ მიზნით, რომ რაიმე მოიგოს, მაგრამ ასეთი განზრახვა ხშირათ მიზანს ვერ ახწევს, და ძვირათ უჯდება მთელ სოფელს: მიცვალებულის ახლობლები გადებულნი არიან ტირილისთვის საჭირო მზადება თავს იდვან, და რაც უნდა მუშაობის დრო იყოს, 40—50 კაცი მთელი კვირობით უნდა გაცდეს. დანიშნულს დღეს კი მთელი სოფელი ქალიან, კაციანა უნდა აიკრიბოს და გასწიოს ტირილში. მხოლოდ უნდა იქონიოს, თუ ნათესავი არ არის, არა ნაკლებ ორი შაურისა, ხოდო თუ ნათესავია 2—25 მანათამდე. ასე, რომ კარეშეს, თვითეული კაცის გაცდენას თუ ვანგარიშებთ, მანათი მაინც უჯდება მიცვალებულის დასაფლავება, ხოდო ახლობელი ნათესავები ხომ მოდათ ირიცხვა. სამაგიეროთ ტირილში დახვდება გაშლილი სტოდი, რომელზედაც ხშირათ ჩვენებური სადღეგრძელოებიც იმართება. სადამოს ჟამს აქ ხედავთ დიდძალ მთვრალთა გროვას, რომლის საქციელი სულაც არ შეეფერება ასეთ დღეს. მოსაგებელი თუ რაიმე რჩება, ისევ მდიდრთ, რადგანაც მათ პატივისმცემელებიც მეტი ეყვნ. დიახ, ასეთი ვაჭრობა უსულო გვამით მეტათ სასაზღვარი ხდება მისთვის, ვინც კი ცოტათ დაკვირვებია ასეთ ჩვეულებას. ასეთი ჩვეულების მაზარალებლობა კარგი ხანია იგრძნო სურებლების უმეტესობამ, მაგრამ არ იქნა, ვერავინ მისცა პირველათ იმის მაგალითი, რომ მიცვალებულის დასაფლავება აეშორებია ასეთ ჩვეულებას. ამიტომ ჩვენ მოვიწადინეთ დავეხმარებოდით იმათ, ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც სურვილი აქვს ამ უხეირო ჩვეულებიდან განთავისუფლების თავი. ამ მიზნით ჩვენ დავწერეთ, «პრიგოვორის» ფორმა და წავუკითხეთ ხალხს და ვსთხოვეთ ვისაც ჩვენებური ტირილის მოსპობა სურდა ხელი მოეწერა ამ «პრიგოვორზე». ხალხის უმეტესობა სიხარულით მიეგება ამ აზრს, მაგრამ ამ დროს უცებ საიდგანღაც გამოჩნდა მღ. ლუკა რამიშვილი, მორთო ამაზე ტირილი და გოდება: «დავიღუპეთ, დღეს ისპობა ჩვენში ძმობა-ერთობა, ნათესაობა; დაგვღუპა ამ ოჯახდაქცეულებმა, ვიღაცები არიანო»! დამღუპველებათ მ. ლუკას, რასაკვირველია, სურების ინტელიგენცია გამოჰყავდა, რომლის წინააღმდეგ კარგა ხანია, რაც მან ნამდვილი დაშქრობა დაიწყო. ალბათ მ. ლუკას საშინლათ ეშინია სინათლის შუქისა და ინტელიგენცია საშინლათ ეჩხირება თვალში, როგორც ცოტათ თუ ბევრათ მაინც სინათლის შემომტანი ხალხში.

მირიან რამიშვილი

რუსეთის ცხოვრება

როგორც «ფინლ. გაზ.»-ში დაბეჭდილი, 13 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უმაღლესათ ბრძანა, რომ ფინლანდიაში ლუნდსმენებისა და ფოგტების (პოლიციისა და ადმინისტრაციის მოხელენი) დანიშვნის დროს ისეთი წესები იქნეს შემოღებული, როგორიც რუსეთშია.

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესათ კეთილ ინება და ბრძანა, სამსახურიდან დაითხოვონ ვაზას გუბერნიის ლანდსეკრეტარი, ფინლიანდიელი გუსტავ ადოლფ ინგმანი და იმის მაგიერ დაინიშნოს რუსი პლატონ ივანოვი.

როგორც „ფინლიანდიის გაზეთმა“ განმარტა, ლანდსეკრეტარ ინგმანის სამსახურიდან გადაყენების მიზეზი შემდეგი ყოფილა: როგორც წინათ გადაყენებული აბოსის გუბერნიის ლანდსეკრეტარი რიუდმანი, აგრეთვე ინგმანიც თანაუგრძნობდა თავისს უფროსს გუბერნატორ ბიენბერგს, რომელიც უმაღლესი ბრძანებით გადააყენეს სამსახურიდან, და გაბედულათ, აშკარათ წინააღუდგა კანონს სამხედრო ბეგრის შესახებ. გუბერნატორის გადაყენების შემდეგ მან არავითარი ზომები არ მიიღო ამ კანონის ასასრულებლათ და როდესაც მოთხოვეს, აეხსნა თავისი მოქმედება, გაბედულათ აღიარა, რომ იგი თანაუგრძნობს 1899 წ. საერთობო სეიმისგან გამოცხადებულ აზრს; სახეში აქვს წინა წლის სამხედრო ბეგრის შედეგი, როცა დამტკიცდა, რომ ხალხს არა სურს დაემორჩილოს ამ ახალ კანონს, და ამიტომ ლანგმანი აღიარებს, არა მაქვს უფლება რაიმე განკარგულება მოვახდინო ამ კანონის ასასრულებლათო.

პეტერბურგიდან გვატყობინებენ, რომ ჩვენში კარგათ ცნობილს ვ. ლ. ველიჩკოს, რომელიც ერთხანათ «კავკაზის» რედაქტორათ იყო, იჯარით აძლევენ გაზეთ «პეტერბურგის უწყებებს» ხუთი წლის ვადით. ეს გაზეთი აქამომდე თ-დ ე. ე. უხტომსკის ქონდა იჯარით აღებული, და ჯერ იჯარის ვადა არ გასულა.

კიევის გაზეთების სიტყვით, პოლტავის გუბერნიაში სამუდამოთ დასაბინავებლათ დაუნიშნავთ ყაზახთა ჯარის მთელი დივიზია. ეს ჯარი დაბანაკდება შემდეგ ქალაქებში: პოლტავასა, კრემენჩუგსა, კონსტანტინოგრადსა და ლუბნში. პოლტავასა და კონსტანტინოგრადში ყაზახები მისულან კიდეც. პოლტავაში ჯერ ყაზარმები არ არის, ამიტომ ჯარი ქალაქის სხვა-და-სხვა უბანში კერძო კაცების სახლებში ჩაუყენებიათ.

«პეტერ. ვედ.» ორლოვის გუბერნიის ქალაქ მცენსკიდან სწერენ: 7 ივნისს ჩვენს სატუსაღოში არეულობა მოხდა. მიზეზათ ტუსაღები ასახელებენ ცუდ საჭმელს და იმას, რომ სატუსაღოს უფროსი ბ-ნი სომოვი ცუდათ ექცეოდა პატიმართ. ამბავი არეულობის შესახებ ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს. სატუსაღოსთან დიდძალი ხალხი შეიკრიბა. არეულობამ დილის 7-დან ნაშუადღევის 3 საათამდე გასტანა. ტუსაღებმა ერთმანეთი გაათავისუფლეს ოთახებიდან, განდევნეს დარაჯნი და მიანგრ-მოანგრიეს მოწყობილება. ადგილობრივ მოხელეებსა და ჯარს (ამ ქალაქში მცირე ჯარია) ორიოლიდან მიაშველეს 25 პოლიციელი. ორი ტუსაღი დაიჭრა, მეთაურნი, 7 კაცი, დაიჭირეს და ორიოლში გაგზავნეს. გამოძიება სწარმოებს. ამავე სატუსაღოში არეულობანი მარტშიაც მოხდა.

ლიფლიანდიის გუბერნიის ქალაქ ვოლმარში ერთი ადგილობრივი პასტორს პოლიციამ პასუხის გებაში მისცა - საიდუმლო სკოლა აქვსო. როგორც გამოირკვა, პასტორ ტრეის ოთხი თუ ხუთი შვილი ყოლია, ამ ბავშვებთან ერთათ პასტორი ასწავლიდა თურმე მეზობლის შვილებსაც, ასე რომ სულ პასტორის შვილებიანათ იყო 9 ბავშვი. პასტორის გარდა ასწავლიდენ ამათ ქალები აკკენნანი და დანნენბერგი. ამ უკანასკნელს დიპლომი არა ჰქონია მასწავლებლობისა. სასამართლოში პასტორს განუმარტავს, რომ საკუთარის შვილებისა და ამათთან ერთათ ორიოდე სხვის სწავლება ყველას შეუძლია; რაც შეეხება შინ მასწავლებელ ქალების ყოლას, იშვიათია ისეთი მდიდარი ოჯახი, რომელსაც სახლში არა ყავდეს ხშირათ სულ უვიცი მასწავლებელი ქალები და კაცები, ამასთან უმეტეს ნაწილათ ფრანგები და გერმანელები. მოსამართლემ პასტორი 3 მანეთით დააჯარიმა, ხოლო ერთი მასწავლებელი ქალი—1 მანეთით.

ელეცის ერთ სასამართლოში გლეხს ტრუბიცინს თხოვნა შეუტანია. გლეხი სწერდა: რამდენიმე წელიწადია ცოლი გამექცა ქალაქში, იქ დაუახლოვდა ერთ ვაჭარს და იმასთან ცხოვრობს, მე-კი აქ უცოლოთ ვარო. გლეხი თხოვდა სასამართლოს ცოლი დაებრუნებინა. დაიბარეს ცოლი, მაგრამ იმან გადაჭრილი უარი უთხრა, საყვარელთან ორი შვილი მყავს და თავს ვერ გავანებებო. მაშინ სასამართლომ ურჩია გლეხს, დაუთმე შენი ცოლი, სულ ერთია, მაინც აღარ გამოგადგებაო. გლეხი დაფიქრდა და ბოლოს 1000 მანეთი ფულათ და «მაღარიჩი» მოითხოვა. ვაჭარმა 300 მ. შეაძლია. იმ დღეს ვერ მორიგდენ და საქმე მეორე დღეს გაათავეს. ასე მიუყიდნია გლეხს თავისი ცოლი სხვისთვის.

«ნოვ. ვრ.»-ს ოდესიდან ატყობინებენ: სამოსამართლო პალატაში გაირჩა საქმე იმ უწესოებათა შესახებ, რომელიც ოდესის საპყრობილეში მოხდა. ბრალი ედებოდა 21 კაცს. პალატამ ერთის გარდა ყველანი დამნაშავეთ იცნო. ბრალდებულთ გადაუწყვიტა პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. უდიდესი - სასჯელი ოთხი წელიწადია, უმცირესი—რვა თვე.

დაშავებულ მუშათა დაზღვევის შესახებ წესებს ყველა საკანონმდებლო ინსტანციები გაუვლია. ამ ახალის კანონის ძალით მეპატრონეებმა უნდა უზღონ დაშავებულ მუშებს, თუ უკანასკნელნი სამსახურის მუშაობის დროს დაშავდენ. თუ ეს დაშავება აშკარა გაუფთხილებლობით მოხდა და მუშაობის პირობებით არ იქნა გამართლებული, მეპატრონე განთავისუფლებულ იქნება ზღვევისაგან. დასაზღვევი ფული არ უნდა აღემატებოდეს მთელი წლის ჯამაგირის ორ მესამედს. მუშები ყველა შემთხვევაში სიღარიბის უფლებით სარგებლობენ. ამ საქმეთა შესახებ მოახდენენ სასამართლოს დადგენილებათა წინდაწინ აღსრულებას. საქმეებს განიხილავენ შემოკლებული წესით. ვექილთა ჯილდო ნიხრით იქნება შეზღუდული. მეპატრონეს გაკოტრების შემდეგ დაშავებულ მუშათ უპირატესობა ექნებათ სხვა მოვალეებთან შედარებით.

უწმიდესმა სინოდმა მიწერილობით აცნობა ყველა საეპარქიო გამგეობათ თავისი დადგენილება ეგრეთ წოდებულ «უკანონო» ბავშვების მოქალაქობრივ უფლებათა შესახებ. ამ მიწერილობის ძალით სამღვდელოებამ სწორეთ უნდა აწარმოვოს ზემოხსენებულ ბავშვთა მეტრიკული აღნიშვნა; სამღვდელო პირთ, როცა მეტრიკულ წიგნებში ჩასწერენ ხოლმე ამ ბავშვებს, არა აქვთ უფლება გასაჯონ, კანონიერათ თუ უკანონოთ არის შობილი ბავშვი და იმ საბუთების მიხედვით, რომელნიც ხელთა აქვთ, უნდა ჩასწერონ

ისინი კანონით დამტკიცებულ ფორმის თანახმათ. ბავშვები, ისეთ მშობლებისაგან დაბადებულნი, რომელთა ცოდ-ქმრობა უკანონოთ არის ცნობილი სასულიერო მთავრობისგან, უნდა ჩაიწერონ კანონიერ შვილებათ იმ შემთხვევაში, თუ მას შემდეგ, რაც ეს ცოდ-ქმრობა უკანონოთ იქმა ცნობილი, ბავშვის დაბადებამდის 306 დღეზე ნაკლები დრო გასული. ბავშვები, ნაშობნი ქვრივთაგან ან ქმრისგან გაურიდ ქალთაგან, ან ისეთ ქალთაგან, რომელთა შეუდლება უკანონოთ არის ცნობილი, უნდა ჩაიწერონ დედის, განსვენებულ ან გაურიდ ქმრის სახელზე იმ შემთხვევაში თუ ქმრის გარდაცვალების, ცოდ-ქმართა გაურის ან შეუდლების უკანონოთ ცნობის შემდეგ ბავშვის დაბადებამდის გავიდა 306 დღეზე ნაკლები დრო. მაგრამ რადგან იმ ბერთ, რომელნიც მეტრიკას ადგენენ, ეოვლდთვის ხელთ არა აქვთ ზემოხსენებულის შესახებ ცნობები, სინოდის დადგენილებით ბავშვი უნდა ჩასწერონ მხოლოთ დედა მისის სახელზე და აღნიშნონ „ვისი ქვრივი“ იგი ან „ვისი გასაყარი“. არავერ შემთხვევაში არ უნდა იხმარონ მეტრიკის წიგნებში სიტყვა „უკანონო“. შვილი, რომელიც ქალს ეეოლება ქმრის გარდაცვალების შემდეგ იმ დროს, როცა იგი უკვე შორე ქმართან არის შეუდლებული, უნდა ჩაიწეროს მისი და მისი ახალი ქმრის სახელზე. თუ ქმარი სადმე გადაკარგულია ან ციმბირში გაგზავნილი და ეველა ეს ჯერთვანათა დამტკიცებული და თუ მას შემდეგ 306 დღეზე მეტი დრო გასული, შეიძლება ბავშვები მხოლოდ დედის სახელზე ჩასწერონ და არ უნდა დაუმატონ სიტყვა „უკანონო“. უმაღლესთ დამტკიცებული წესების თანახმათ ეველა ბავშვები, რომლებიც დაიბადებიან კანონიერ შეუდლების გარეშე, როგორც მრუშების შედეგი, ქორწინების გარეშე შვილები დაურქმევათ; უნდა ჩასწერონ ისინი მეტრიკის წიგნებში დედის სახელზე და არ იხმარონ სიტყვა „უკანონო“. მიგდებული ბავშვები, რომელთა შობლები უცნობი არიან, ან ქორწინების გარეშე შობილი ბავშვები, რომელთა დედები რაიმე მიზეზის გამო თავის ვიხობას მალავენ, შემდეგის წესით უნდა ჩაიწეროს: ბავშვის სახელი, ადგილი, სადაც ის დაიბადა და დაბადების დღე, რამდენთაც ეს ცნობილი იქნება ოფიციალური წყაროებიდან, და იმ ადგილას, სადაც მშობლებს აღნიშნავენ, უნდა ჩასწეროთ—„ბავშვის მშობლები უცნობი არიან“.

საზღვარ-გარეთ

სპარსეთი: სპარსეთიდან მოსული ამბები ახალ გულშემზარავ ძალმომრეობას მოგვითხრობს იქაურ სომეხთა ცხოვრებიდან. 21 მაისს ქ. თავრიზში ბრბო ქურუთა ჩაგონებით დაესია სომხის ბაზარში მედუქნე სომხებს და მუსრი გაავლო. მოსულმა პოლიციამ ვერა გაწყრა-რა, წინააღმდეგ ოვითონ პოლიცია იძულებული გახდა თავის თავისთვის ეშველა. მეორე დღეს ხალხის ბრბო შეიარაღებული გამოვიდა ქუჩაზე, ძალით დაიკეტინა ეველა სომხების დუქნები და მიადგა მემკვიდრის სასახლეს, რომელიც თავრიზშია, და განაცხადა, რომ ის ახლავე დაანგრევს სასახლეს და დაწიოკებს ქალაქს თუ არ იქნება დაკმაყოფილებული მათი შემდეგი მოთხოვნილებანი: 1) დიკეტორს ეველა სასწავლებლები, სადაც ევროპიელ ენებს ასწავლიან. 2) დამოუნის მმართველი ბ. Prime კანდევნილ იქნეს თავრიზიდან. 3) ეველა სომეიტნოები დაიკეტოს და სომეხთ აეკრძალოს დამაორობელ სასმელებით ვაჭრობა. 4) მოისპოს სადმოუნო ტარიფები. 5) სომხები არ მიიღონ სახელმწიფო სამსახურში და სხვ. რადგან ბრბო დიდძალი იყო მის დაუკმაყოფილებლობა შეუძლებელი შეიქნა, ბრინცმა ზოგი მოთხოვნილებანი დაუფიცა დაკმაყოფილა, ზოგის ასრულებას დაპირდა—ვიუფამდგომლებ შახთანთან. ამნაირათ, როგორც იქნა ბრბო დაწყნარდა. ესეთი ადგილები, როგორც იუწყებიან, გამოიწვია ადგილობრივ სამდგელოების ფანატიკურმა ქადაგებამ ევროპიელების ან სასოგადოთ ქრისტიანების წინააღმდეგ.

ბალკანეთი: მაკედონელები თითქო შეწყდენ. ამ ეველა-სენულ ხანს არა ისმის-რა განსაკუთრებული. ხმა დადის—მებრძოლ ჯგუფებმა გადწყვიტეს შეისვენონ, რომ ბულგარეთს დათესოს, თორემ შიმშილით ამოწყდებიანო. ოსმალთა ეს შეკრებაც მზადებაშია. მას, იგზავნა ანა, ბოდგარიასთან ომი აქვს გადწყვეტილი, რადგან მაკედონიის შეამბოხენი, უმთავრესათ ბოდგარელები არიან. ამ მიზნით ბოდგარიის საზღვარზე ეარებელი ოსმალოს ჯარი იყრის თავს. ბოდგარეთიც ამზადებს ჯარს. ბატარა ბოდგარია ვერ გაუძღებს ოსმალეთს, ვერ შესძლებს მაკედონიას დიდი დახმარება ადმოუჩინოს, თუ სებერძნეთის ისტორია არ განმეორდა. როგორც ვიცით, სებერძნეთი დამარცხდა კრიტის ბრძოლაში, მარა კრიტი ევროპის დიპლომატიამ მაინც გაათავისუფლა.

თუ გარეშე დახმარება არა, მაკედონიის განთავისუფლება საეჭვოა. საქმე ის არის, რომ „მაკედონელი“ არ არსებობს, მაკედონია ერთი ერით არ არის დასახლებული. აქ ცხოვრობენ ბოდგარები, სერბები, ბერძნები და სხვ. ამ ბატარა ერებს შორის, თუ უნდათ რომ ოსმალთა ბატონობას თავი დაახწიონ, სოლიდარობა უნდა სუფევდეს, ნამდვილათ კი სულ წინააღმდეგს ვხედავთ. რადგან ეებრძოლნი ბოდგარელები გამოვიდენ, ამიტომ სერბები თითქმის გულ-გრილათ უყურებენ განთავისუფლების დიად საქმეს, ხოდა ბერძნები თანაგრძნობის მაგიერ მტრობას უწევენ, ჯაშუშობენ; ერთის სიტყვით, ეოველი დონისძიებით ცდილობენ თავისუფლებისთვის მებრძოლთა დამარცხებას. ამნაირი ერთგული ქიშმი, შური და მტრობა, რომელსაც საზოგადოთ ეტრფიან „ნაციონალ-პატრიოტები“, დუბავს დიად საქმეს ტანჯულთა განთავისუფლებისას. ეი რა ტრაგიკული, მაგრამ ნამდვილი ამბავია მოთხრობილი გაზეთებში მაკედონიის რევოლიუციონერთა ცხოვრებიდან: ერთ სოფელში, სადაც ბოდგარელები და ბერძნები ცხოვრობდენ, მივიდა მთელი რაზმი რევოიუციონერებისა უსურსათობით შიმშილისგან შეწუხებული და ბოდგარულ დვდელს დასანურებელი სთხოვა. ბოდგარელ მდვდელს ბერძენთა დვდლის დასმენის შეეშინდა და საჯმელის მიცემა ვერ გაბედა. მაშინ რაზმმა მიმართა თვითონ ბერძნის დვდელს. მან მაშინვე მოიწვია ეველანი და კარგათ გაუმასპინძლდა. ბატარა ხანს უკან, როცა ეველანი დანაურდენ, ზოგს თავი ასტეკვდა, ზოგს მუცლის გვრემა დაწყებია, ზოგს კიდევაც ასქმა... საზარელ სურათს წარმოადგენდა სულთმობრძავი ჯარი, რომელიც სიკვდილს ეომებოდა.

ეველას სახეზე უსაზღვრო ტანჯვა-წვალება იხატებოდა... სწორეთ ამ დროს სულთმობრძავთ თავს დაესხა ოსმალთა ჯარი და რაც მართლმადიდებელმა მდვდელმა დაკლო, ის მტრის ხელმა შეუსრულა.

ფაქტი თავის თავათ დადადებს..

საფრანგეთი: საფრანგეთის მთავრობა აქამდის ისევ კონგრეგაციათა საკითხს ვერ გაშორებია, წინეთ 81 ქალთა კონგრეგაციების თხოვნა იყო განსახილველი შეიდის განხილის უფლების შესახებ. პარლამენტმა არ შეიწუნარა არც ერთი. ამნაირათ მთავრობა ხურავს კონგრეგაციათა ეველა შეიდებს, მაგრამ მარტო შეიდების დახურვას სასურველი ნაყოფი ვერ მოაქვს: კლერიკალურ განათლებას ვერ სპობს. ბევრმა სასულიერო კონგრეგაციების წევრებმა ახლა კერძო სკოლებში იწყეს სწავლება და ამისთვის საერო პირებთან კი გამოაცხადეს თავი. პარლატმ გადწყვიტა ახალი დონისძიება მიეღო მათ წინააღმდეგ. ამ მიზნით განსაკუთრებულმა კომისიამ დიდი დაკიდარაბის შემდეგ შეიმუშავა დამატებითი წესები კონგრეგაციების კანონისა, ამ წესებით ეოფილ კონგრეგაციის წევრებს აკრძალებათ შეიდებში მასწავლებლობა სამ მახლობელ ოდქში. მასწავლებლისთვის აგრეთვე საჭირო დადგენილი დიპლომი ქონდეთ კონგრეგაციათა ეოფილ წევრებს. ეს ზომები თუმცა აძნელებენ, მაგრამ დიდათ ხელს ვერ შეუშლიან კლერიკალთა მოქმედებას. მათ შეუძლიათ მეოთხე ოდქებიდან ერთი მეორეს გაუტვალონ შეიდში მასწავლებლის ადგილი და ამით ადგილი შეინარჩუნონ. საზოგა-

დოთ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ზომებმა განხეთქილება ჩამოაგდო მთავრობის პარტიაში. ისეთი რადიკალები, როგორც კლემანსო და სხვ., წინააღმდეგი გახდენ ამ ზომისა, რადგან იგინი ძალმომრეობაზეა დამყარებული და ზღუდავს ადამიანის უფლებას. ახლა ყველამ დაინახა, რომ ნახევარ—რეფორმები, რომელიც დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ოპპორტუნიზმისას პრაქტიკულ მოქმედებაში, უფრო ხშირათ მავნებელია და გერასოდეს სასურველ მიზანს ვერ აღწევს. ახლა ყველანი, ვინც კი კათოლიკეთა წინააღმდეგ ომს დაკვირვებია, ხედავენ, რომ კონგრეგაციების საკითხის გადაწყვეტა უნდა დაწყებულიყო და გათავებულიყო ეკკლესიის სახელმწიფოდან სრული გათვისებით. მართალია, ოპპორტუნიზმის მომხრენი ამტკიცებენ, რომ ეს შეუძლებელი იყოვო და რომ კონიერება მოითხოვდა იმ მცირედი გაუმჯობესებითაც დაკმაყოფილებულიყავით, რომელსაც შემთხვევა გვაძლევდაო. მარა თუ კომბის პოლიტიკას დავუკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ნამდვილათ მათ არ სურდათ, ან ეშინოდათ ასეთი რადიკალური ზომის მიღებისა და, როგორც ნამდვილი „ოპორტუნისტები“, წვრილმანებით ცდილობდენ უმთავრესი კითხვის გადაფუჩეჩებას. როგორც ვიცით ეკლესის სახელმწიფოსაგან განშორება ჯერ-ჯერობით შეუძლებლათ აღიარეს. კომბმა, მილრანმა და ძმ მისთა. კლემანსო კი აცხადებს, რომ ახლანდელ პირობებშიაც ადვილათ შესაძლებელია ასეთი რეფორმის გაყვანა და რომ ის მინისტრი ყოფილიყო, ამას აქამდის მოაგვარებდა. ასეთივე აზრი გამოთქვა სასინისტროს კომისიამ, რომელსაც ამ კითხვის შესახებ მოხსენების შედგენა ქონდა მინდობილი და 17 ხმით 16 წინააღმდეგ გადაწყვიტა ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევება. კომისია ორ თითქმის თანასწორ ნაწილათ გაყოფილა, რაც ნიშნავს, რომ სამინისტროს პარტია ამ კითხვის გადაწყვეტაშიაც ვერ შეთანხმებულა და კომბის კაბინეთს კრიზისი მოელის.

საზოგადოთ ოპპორტიუნიზმი, როგორც ორაზროვანი, ორპირი პოლიტიკა, მუდამ კრიზისში იქნება, სანამ უარს არ იტყვის შეურიგებელის მორიგებაზე, შეუთანხმებელის შეთანხმებაზე, ე. ი. ბურჟუაზიულ ფრაქციათა და სოციალ-დემოკრატთა პარტიის საერთო სამოქმედო ასპარეზის ძებნაზე. ასეთი ასპარეზი არ არსებობს და, მაშასადამე, მისი არც მოძებნა შეიძლება.

უნგრეთი უნგრეთის მინისტრ-პრემიერი სელლი სამ იგლისს გადადგა თავის ადგილიდან. მიზეზათ ამისა მან დაასახელა ის გარემოება, რომ პასსიური წინააღმდეგობა ობსტრუქციისა ლიბერალთა უმრავლესობას აღარ მოსწონსო. უამისოთ კი შეუძლებელია სამინისტროს მოქმედებამ რაიმე ნაყოფი გამოიღოსო. სელლი კოშუტის (ნაციონალისტთა) პარტიის ობსტრუქციამ გააქცია, რადგან ერთი ჯგუფი ლიბერალებისა აპპონის მეთაურობით აღარ თანაუგრძნობდა სელლის პოლიტიკას, რაც თვით სელლმა აღიარა. კოშუტოვცები სელლის გადადგომას ყვირილით მიეგებნენ: „ვრაფ ტისსამ დასცა კაბინეტი! კაბინეტი იმიტომ დაეცა, რომ არ ვარგოდაო“ და სხვ. კოშუტოვცებმა შემდეგ აღიარეს, რომ ისინი უფრო ღონისძიებით იბრძოლებენ ახალი კაბინეტის წინააღმდეგ, რომელიც ახალ საპარლამენტო რეგლამენტის შემოღებას შეუდგება და თან მუშტს უღერდენ ტისსას გრუპპას, თუმცა ჯერ გამოცხადებული არ იყო, რომ კოროლი მას დაავალებდა ახალი კაბინეტის შედგენას. დეპუტატმა ურბონმა გაკიცხა გადამდგარი სელლი არა კონსტიტუციონურ მოქმედებისთვის, განსაკუთრებით იმისთვის, რომ ის უყურადღებოთ სტოვებდა მეფის ჩარევას ვენგრიის შინაურ საქმეებში, რაც კონსტიტუციის წინააღმდეგია. სელლმა მოინდომა პასუხის გაცემა, მაგრამ ლაპარაკი არ დააცალეს. ამის შემდეგ სენატი დაიშალა ახალ კაბინეტის შედგენამდის.

გაზეთები აღიარებენ, რომ ტისსას პრეზიდენტობა შეუძლებელია, რადგან იმის პოლიტიკას უმრავლესობა არ მოემხრობა, ხოლო კოშუტოვცები სასტიკი ობსტრუქციით მიეგებებიან...

ტისსა იმიტომ არ მოსწონდათ ოპოზიციონურ ელემენტებს, რომ მან ობსტრუქციის ჩასაქრობათ განსაკუთრებული სასტიკი ზომების შემოღება ურჩია წინაზე სელლს. სხვა გზა არ იყო. სელლიმ შეიტანა სამხედრო კანონ-პროექტი, რომელიც ოპოზიციას არ მოეწონა და ობსტრუქციით მიეგება. სელლი, როგორც ნამდვილი კონსტიტუციონისტი, ობსტრუქციის წინააღმდეგ მხოლოდ კანონიერი საშვალებებით მოქმედებდა. მარა სამხედრო სფერას ასეთი ზომები არ მოსწონდა. მას უნდოდა რაც უნდა გახდომოდა, მალე გაეყვანა სამხედრო კანონ-პროექტი. სელლის ტაქტიკით კი მისი გარჩევა ოქტომბრამდე მაინც გაგრძელდება. აი აქ გაჩნდა ტისსა თავის პროექტით. ის ეუბნება სელლს, უფრო ფიცხი ობსტრუქციონისტები შეიძლება გაძევებულ იქნეს სხდომიდან. შემდეგ კრება განუწყვეტლივ უნდა გაგრძელდეს და შეცვლილ იქნეს დღეგამოშვებითი სისტემა სხდომებისა. შემდეგ ამისა პარლამენტი დაიშლება, დაინიშნება ახალი არჩევნები. ახალ არჩევნების შემდეგ არაფერი აღარ დაუშლის კანონ-პროექტის გაყვანას. სელლი წინააღმდეგი გახდა ასეთ ზომებისა, რადგან ისინი არ ეთანხმებოდენ კონსტიტუციის კანონებს და შეიცავდენ ძალდატანებას. უმაღლეს სამხედრო სფერებში თანაგრძნობით მიეგებენ ტისსას პროექტს. ისინი დარწმუნებული იყვენ, რომ ძალდატანებით შეიძლებოდა სასურველი პროექტის გაყვანა.

ამიტომ კოროლმა პირველი მინისტრის პორტფელი პირველათ ტისსას ჩააბარა. მარა ტისსამ ვერ შესძლო კაბინეტის შედგენა. ლიბერალური პარტიიდან ბევრი ფრაქციები წინააღმდეგი იყვენ მისი პროგრამისა. ტისსამ მოინდომა მინისტრის პორტფელით მოესყიდა ფრაქციის წარმომადგენლები, მარა მოსტყუვდა. მინისტრის პორტფელს ყველამ თავის იდეალის წმინდათ დაცვა არჩია. კოშუტოვცები, აპპონის ჯგუფი და სხვ. მტრულათ მიეგებენ. ამიტომ მთავრობამ საუმჯობესოთ დაინახა მინისტრ-პრეზიდენტათ სხვა მიეწვია. მიწვეულ იქმნა გუნო ხედევარი. ამ უკანასკნელმა ბევრი რამ დაუთმო ოპოზიციას და ამით გზა გაუკაფა მომავალ სამინისტროს.

მან უკანვე წაიღო სელლის კანონ-პროექტი, რომელიც თხოულობდა რეკრუტი-ჯარისთვის 6000 კაცის მომატებას და ისევ ძველი რიცხვის დატოვებას დაპირდა. ამას თხოულობდა ოპოზიცია, კოშუტის (ნაციონალისტების) პარტია. ამიტომ მან მადლობა გამოუცხადა მინისტრს მის მოთხოვნილებათ დაკმაყოფილებისთვის, მაგრამ ამასთანავე განაცხადა, რომ ისინი მხოლოდ მაშინ შეურიგდებიან მთავრობას სრულიად, თუ შემოდგომაზე შემოსატან კანონ-პროექტში სავსებით იქნებიან დაცული ვენგრიის ნაციონალური მოთხოვნილებანი. ამნაირათ შესძლო შეიქნა სამინისტროს შედგენა.

სერბია: ევროპაში არც ერთ სახელმწიფოში არ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი ამბავი ისე, რომ სხვა სახელმწიფოებმაც თავისი აზრი, შეხედულობა და დამოკიდებულობა არ გამოსთქვან მის შესახებ. მით უმეტეს, როცა სახელმწიფოს მართველობაში შესამჩნევი ცვლილება ხდება. სახელმწიფო ცვლილება—ეს ისეთი რამეა, რაც ყველა მთავრობის გულს ახლოს ხვდება, მათ საერთო,—ასე ვთქვათ, სამთავრობო, ინტერესს ეხება. ისეთი ტრაგიკული კონფლიქტებს, როცა მთავრობის უსამართლობას პასუხს თხოვს ხალხის სამსჯავრო, ყველა სახელმწიფოთა მთავრობები ისე უყურებენ, როგორც მათი ინტერესების დარღვევას, მათი ავტორიტეტის შემცირებას. მათ ერთი საერთო ინტერესები აქვთ—ხალხზე მბრძანებლობას სრულიად პასუხის უგებლათ და რადგან თანამედროვე ცხოვრებაში ისინი ნამდვილი უკანტროლო მფლობელები არიან მთელი სახელმწიფოსი, ამიტომ მათი ინტერესი მოითხოვს არსებულ წესწყობილების მტკიცეთ დაცვას და ყოველგვარ ცვლილების წინააღმდეგ ამხედრებას, თუ ეს ცვლილება მთავრობის უფლებების შემზღუდველია. სადაც უნდა ხდებოდეს ეს ცვლილება სულ ერთია, მაინც ირყევა და სუსტდება საზოგადოთ მართველთა ავტორიტეტი

და გაკვლევა ხალხზე. ისინი კი ცდილობენ ამ ავტორიტეტის შერჩენას. მაშასადამე, ეველგან და ეველა წინააღმდეგნი უნდა იეკვენ მთავრობის შემზღუდველ ცვლილებებისა. ეს ასეც არის. ევროპის ეგვლა სახელმწიფონი ამ შემთხვევაში ურთიერთს გარანტიას აძლევენ არსებული წესის დაცვისას. ესეთი მოქმედება ევროპის სახელმწიფოთა აშკარათ გამოაჩნდათ სერბიის ამბების გამო. დავიწეოთ იქიდან, რომ თუმცა ხალხი და ბრესა სამეფო სახლის გაწეეტის შემდეგ მომხრე იეო რესპუბლიკანური მართველობის დაარსებისა, მარა ვერ შეძლო ეს და ამ შემთხვევაში ჯარის წინააღმდეგობასთან ერთათ არა მცირედი გაკვლენა ქონდა სხვა სახელმწიფოთა მათ საქმეში ჩარევის შიშს. დროებითი მთავრობა მუდამ მოელოდა სხვა სახელმწიფოთა ჩარევას, და მხოლოდ ხალხის მშვიდობიანობამ დაიცვა ის ამ საშიშროებისაგან. შეიძლება აქ გაკვლენა ქონდა იმასაც, რომ ერთ რომელიმე სახელმწიფოს ჩარევას სხვების ჩარევაც მოუვებოდა და ამით საქმე გარეულდებოდა. ამიტომ ეველა დაკმაყოფილდა იმით, რომ მართველობის ფორმა შეუცვლელი დარჩა. მაგრამ მათ მაინც არ უნდათ აბსტიკონ სამეფო სახლის ხელშეუხებლობის დამრღვევთ მათი დანაშაული. ევროპის სახელმწიფოები, როგორც გაზეთები კადმოგვცემენ, ეველანი თხოულობენ იმ ოფიცერთა დასჯას, რომელთაც მეკვლეობაში მონაწილეობა მიიღეს. ესეთი მოთხოვნილება მათი მხრით არც გასაკვირველია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბელგრადის ტრაგედიამ მთავრობის უსამართლო ბატონობის ფრთის შესაკვეცი საშეალება გვიჩვენა. ოსმალეთის სულთანზე, მაგალითათ, სერბიის ამბავმა თავზარდამცემი კვლენა იქონია. მას კინაღამ გული წაუგიდა და ამბის დაწვრილებით გაგება ადარ ისურვა. აგრეთვე ბრძანება გასცა, არც ერთ გაზეთში არ მოეხსენებინათ მეფის მოკვლის ამბავი. მხოლოდ დაეწერათ, რომ სერბიის მეფე და დედოფალი გადაცვალენო. ალბათ დესპოტს თავადწინ წამოუდგა თავის მეფობის მომავალი სურათი, იგრძნო, რომ მის უსამართლობის და უსაზღვრო ხალხის ტანჯვის შედეგიც ასეთი იქნება! არც სხვა სახელმწიფოებს დარჩენიათ სასიამოვნო ბელგრადის დრამა. ისინიც უკმაყოფილონი არიან ქვეშევრდომთა ასეთი თავნებობის. ამაში ისინი ხედვენ მთავრობისადმი უპატიეცემულობას, უმორჩილობას და სხვ.

საზოგადოთ სახელმწიფოები პეტრე I კაროლათ ცნობასთან ერთათ თხოულობდენ მოდალატე ოფიცერთა დასჯას. რუსეთის მთავრობამ ტელეგრამით აცნობა პეტრე I, რომ მას მეფეთ ცნობენ, მარა ვალდებულათ ხდიან დასაჯოს მეამბოხენი.

აგრეეე მოიქცა ავსტრო-ვენგრია, გამოთქვა სურვილი, რომ დამნაშავეთა დასჯით პეტრეს ადუდგინა მეფის დირსებისადმი პატივისცემა, რომელიც შეიდახა ცხებულთა სისხლის დადვრით

ბელგრადელი გაზეთები ამაზე ასეთ პასუხს იძლეიან: „სერბია სიამაყენებით მოისმენს და მხედველობაში მიიღებს დიდ სახელმწიფოთა სურვილს და რჩევას, მარა იგი ჭკონებს, რომ კეთხვა კორონის წინააღმდეგ შეთქმულობის შესახებ იმდენათვე საშინაო პოლიტიკის საქმეა, რამდენათაც ხალხის წინააღმდეგ მეფის შეთქმულობა, რომელსაც მრავალი უსამართლობა და სისხლის ღვრა მოეყვა, და ევროპის ხელმწიფეები მაინც გულგრილათ ეეურებდენ“. ეს არც გასაკვირველია, თუ ზემო თქმულს გავიხსენებთ. მეფე მეფის უფრო დაახლოებული პირია მდგომარეობით და ინტერესთა ერთობით. ამიტომ ისინი ეოველთვის ერთი-მეორის დამცველი იქნებიან. მარა ამას ეწინააღმდეგება ხალხის ინტერესი და აი ხალხის გულის ნადები გამოითქვა ზემო მოყვანილ სიტყვებში. ამ შემთხვევაში ბევრ შინაურ მიზეზების გამო მეამბოხეთა დასჯა შეუძლებელია. გარდა იმისა, რომ ხალხი ამართლებს მათ მოქმედებას, პეტრე I-ც მომხრეა მათი. ერთთერთი საფუძველი მისი მეფობისა, ეს ჯარია, რომელმაც ის ტახტზე აიყვანა. ძისი დასჯით ის მოსჭრიდა იმ ხეს, რომელზედაც თვითონ ზის და ამ ნაირათ ტახტიდან ძირს ჩამოვარდებოდა. უფრო მოსალოდნელი იეო წინააღმდეგი, ე. ი., რომ მეფე უარადებით მოეპყრობოდა მეამბოხეთ, და კიდეც ასე მოხდა: ორი გენერალი შეთქმულთაგან სამინისტროში შეეიდა, თვითონ მეფე პეტრე ბოდგეს შეეიდა, დაინიშნა, რადგან რუმინიის მეფემ, რომელიც ბერლინ-ოფიციალური ამ პოდეის შეფეთ, ადარ ისურვა იმ პოდეის შეფობა, რომელმაც მეფის სისხლში ხელი გაისვარა. ჯარმა გაამეფა პეტრე I. პეტრე პირველიც დაესდო ჯარს და იგი ადიარა თავის ტახტის ბურჯათ.

მეფის არჩევის შემდეგ სკუპშჩინა დროებით მართველობა დაიშალა. მეფემ ახალ არჩევნებამდის მინისტრ-პრეზიდენტობა ისევ ავაკუმოვიჩს ჩააბარა და მანაც ძველი კაბინეტი დასტოვა. ამ ნაირათ, ახალ არჩევნებამდე ისევ ძველი სამინისტრო დარჩება. მეფე, როგორც გადმოგვცემენ გაზეთები, თუმცა სავსებით კმაყოფილი არ არის ამ რადიკალურ სამინისტროსი, მარა მაინც ის დასტოვა, რომ კონსტიტუციის სიმტკიცე დაეცვა. ახალ არჩევნებზე, რომელიც მომავალ სექტემბერში მოხდება, რადიკალური პარტია უნდა დარჩეს გამარჯვებული, უკიდურეს რადიკალებს ადუთქვეს დახმარება სოც.-დემოკრატებმა, რომელნიც შესამჩნევ ძალას წარმოადგენენ სერბიაში.

* * *

ვეტრეი ზღვას ძლიერს, ადიდებულს, თვალთა მოსახიბვლელს,
ტკბილ-მწარე გრძნობით ადვსებული გული ჩუდება,
შეეცურდე მზათ ვარ, მოეეხვიო მის მშეოთვარ ზვირთებს
და შეეასრულო რაც მწეურია, რაც მენატრება.

ნავი გავტეორცნო და დავეეერდნო მის მკერდსა დიას,
ის მაბეურებდეს გულში ნადუდს ცალა ნამებს,
რაკი იდეალს სულს ჩავუდგამ, ადვათვრთოვანებ,
დმერთათ მივიჩნეე, დავეთეცავ იმ წმიდა წამებს.

მაგრამ უფსკრული? ის უფსკრული სულ მავიწედება,
რაც წინ დამხვდება, რაც მოშიშნობს სიამოვნებას,
ტალღა ძლიერი გადამაგდებს დიდსა მორეეში,
მეისეე გამიქრობს ულმობელათ ბედნაერებას.

მაშ მოვერიდო? და არ ვძებნო რაცა მწეურია?!
მაშ იეოს გული მუდამ ასე დაბეუმებული?!
არ გავბედეიო გრძნობა ჩემი მიძინებული
და არ ჩავძახო: «რისთვისა ხარ ქვეენათ მოსული!?»

არა, არ ვშიშობ, მე იმ შავებელ მსურს შეეებრძოლო,
თუნდ ჩამიტანოს ზღვისა ტალღამ თვის უფსკრულშია,
და მომავედავმა გავათავო ჩემი სიცოცხლე
ისევ ბრძოლაში, ვინემ ასეთ ჯოჯოხეთშია!!

პასიკო ლორთქიფანიძის ასული.

სამეოგლოს ცაზე

დაჩისტები.—მაჯისტები.—ჯამბაზები.—ცარიელი ქვევრი.—
წარჩინებულნი.—ბალვანის გულწრფელობა.—დიახ! დიახ!—
წერილი ხელისმომწერისა.

დაცხა, დაცხა და დაცხა. თფილისიც შუბლზე ყინულ მიდებული, ზურგზე სარეცელ წამოკიდებული მიდის და მიეშურება „დაჩაზე“. ზოგი ბორჯომს, ზოგი კოჯორს და ზოგი კი იცით საით?..

მაგრამ ეს „დაჩისტებიც“ ორ პირათ განიყოფებიან. არიან „დაჩისტები“, რომელნიც საკუთარი ჯიბით მიდიან საგრილობლათ, არიან „დაჩისტები“, რომელთაც ბედმა თუ უბედობამ წილათ არგუნა სხვათა ფულით მოგზაურობა „დაჩამდე“! ეს ორი რაზმი გამზადებული სამშობლოდამ სულ სხვადასხვა გზით*) გადიან თფილისიდამაც. ერთნი ღვთის ანაბარა

*) ესენი სხვადასხვა გზითვე მოგზაურობდენ თვით თბილისშიაც!
შენიშვნა ერთი ოხრისა.

დატოვებულნი, მინდობილნი მხოლოთ უფლის განგებაზე, მეორენი კი ყარაულით!.. მათ იცავენ, მათ იფარავენ, მათ უვლიან გარშემო, რომ... რომ... ავმა თვალმა არ დაინახოს და ავმა ენამ არ შესძახოთ... „მშვიდობით, ყარაულით გასლუმრებულნო დაჩისტებო!“

ერთი სიტყვით, თფილისი ორი თარგის „დაჩისტებს“ ისტუმრებს სხვადასხვა გზით, სხვადასხვა „დაჩაზე“: ყარაულით და უყარაულოთ, ლოცვით და წყევლით! ერთნი მიდიან, რომ იბანავონ, მეორენი მიდიან მხოლოთ მისთვის, რომ აბანოში... იყვენ...

მაშ გაუმარჯოს აბანოში გაწმენდილ და ზამთარ-ზაფხულ სააგარაკოთ თბილისიდან განმზადებულ «დაჩისტების» რაზმს!..

*
* *

გაუმარჯოს „მაჯისტებსაც“, ვინაიდან ისენი უფრო ხანგრძლივათ მოგზაურობენ სამშობლოსთან ერთათ, ისენი უფრო დიდიხანია შეუდგენ სამშობლოს განკურნვას... და განკურნეს კიდეც. აბა ყური ათხოვეთ ბათუმს, აქაც არიან «სამშობლოს მაჯისტები», იქაც უშინჯავენ ავადმყოფის მკლავის „პულსს“. აი თუნდ ბ-ნი ანდრონიკოვი და ძმანი მათნი ბათუმის კერის ირგვლივ და გარშემო ინახით მჯდომარნი და სამშობლოსათვის მტირალნი.

თითქმის წელიწადზე მეტია, რაც ერთმა იქაურმა ქრისტიანულ ხმოსანთაგანმა აღძრა კითხვა ქალაქის საბჭოში, რომ ქალაქს ედღესასწაულა 25 წლის იუბილეი. რადგანაც ამ მიმდინარე წელს შესრულდა 25 წელიწადი, რაც ბათუმი რუსეთის იმპერიის ნაწილათ იქნა აღიარებული. სამშობლოსათვის ძაძა მოსილმა, თფილისიდან ბათუმის ზედსიძეთ მიყვანილმა მამამ, ანდრონიკოვმა ამ დღესასწაულის აღსანიშნავათ ასეთი მოხსენება წარადგინა თვის მოყმეთა წინაშე:

„როგორც ვიცით, ქალაქი ბათომი სამრეწველო ქალაქია და ერთი საუკეთესო ბოლოზთაგანია შავი ზღვის პირათ, ამიტომაც არის რომ $^2/_3$ ბათომის მცხოვრებლებისა მუშა ხალხისაგან შესდგება. საბჭომ განიზრახა იდღესასწაულოს 25 წლის იუბილეი და ამ დღესასწაულის აღსანიშნავათ მან დაადგინა აგებულ იქნეს თეატრის შენობა და დაარსებულ იქნეს ბიბლიოთეკა. სიშორისა და სიძვირის გამო მუშა ხალხი ვერისარგებლებს ამ დაწესებულებით, ვინაიდან წიგნთსაცავი უფასო არ იქნება, ხოლო თეატრი კი შუაგულ ქალაქში იქნება აგებული; ამნაირათ მუშა ხალხი უყურადღებოთ რჩება, ამიტომ მე ვაძლევ წინადადებას საბჭოს, რომ ამ დღესასწაულის აღსანიშნავათ გარდა თეატრისა და სამკითხველოსი დაარსებულ იქნეს პირველ დაწყებითი შკოლა მუშათა უბანში, აგემულ იქნეს ამავე უბანში სახალხო სახლი, იაფ-ფასიანი სასადილოთი, უფასო სამკითხველოთი და თეატრით, აგრეთვე აგებულ იქნეს ღამის თავშესაფარი უბინაო და ქუჩაში მოხეტიალე ხალხთათვის, რომელშიაც დაეტევა არა ნაკლებ 300 კაცისა. სახლისა, შკოლისა და ღამის თავშესაფარის შესახებ მქონდა მიწერ-მოწერა ქარხნების დირექტორებთან და მათ სიამოვნებით აღმითქვეს დახმარება ამ ფრიად სიმპატიურ საქმის განსახორციელებლათ.“

ხომ ხედავთ, ბატონებო, ანდრონიკოვის ცრემლებს, ხომ ხედავთ მის ესოდენ ღვაწლსა და სურვილებს. ოხ, ნუ თუ არ გენანებათ ეს გულშემატკივარი ბათუმის მუშებისა?!

მაგრამ, იცით, ეს ცრემლთა ნიაღვი როდის მოსულია მას? სწორეთ მაშინ, როდესაც იგი ასარჩევი იყო ბათუმის კისერზე თავათ.

მერე? მერე ისა, რომ იცვლება დეკორაცია და სცენაზე ტრაგედიის შემდეგ იდგმება კომედია.

ტრაგედია იყო მისი ოფლის ღვრა და გადემოკრატება არჩევნების წინა დღით, ხოლო კომედია კი მან ითამაშა შემდეგ თვისი არჩევნებისა, როდესაც დღესასწაულის აღსანიშნავათ ამორჩეულმა კომისიამ გამგეობას წარუდგინა თვისი შემდეგი მოხსენება:

„1) „დაარსდეს ორი პირველ-დაწყებითი შკოლა: [illegible] თათვის და მეორე ქალთათვის, 2) აგებულ იქნეს თეატრის შენობა ალექსანდრეს ბაღში, 3) აგებულ იქნეს სახალხო სახლი და ღამის თავშესაფარი, 4) გამოიცეს «კრებული», რომელშიაც იქნება მოთავსებული ქ. ბათომის აღწერა, მისი წარსული და მომავალი, სურათებით, 5) განათდეს ქალაქი ჩირაღდნებით დღესასწაულის დროს, 6) გადახდილ იქნეს დღესასწაულის წინ ღამით პანაშვიდი დახოცილ მეომართა სულის მოსახსენებლათ, 7) გადახდილ იქნეს მოვლენა ხელმწიფე იმპერატორის და საიმპერატორო სახლის სადღეგრძელოთ“.

ამ შვიდი მუხლიდან ბ-ნმა ანდრონიკოვმა და გამგეობამ მიიღო სავსებით მხოლოთ 6½! სახელდობრ—ორი შკოლა, თეატრი (ვისთვის?), ღამის თავშესაფარი, თვითეულ ჯარის-კაცისთვის თითო აბაზი, ქალაქის ჩირაღდნობა, „კრებული“, რომელშიაც აღნიშნული იქნება სხვათა შორის ანდრონიკოვის ღვაწლმოსილება ბათუმის კურზალში და ბოლოს პანაშვიდი. ხოლო რაც შეეხება სახალხო სახლს, ის მან გადადვა შემდეგისთვის. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან სახალხო სახლს ის დაპირდა ბათუმს, ვიდრე თვით თავს შეაფარებდა ბათუმის ქალაქის დარბაზს, ხოლო როცა თავი თვისი მან ახლა უკვე შეფარებული იხილა, თავსა სხვისსა აღარ აღუშენა სახლი. ესეც ერთგვარი «მაჯისტობაა» სამშობლოს „მაჯისტებისა“.

*
* *

როგორც ერთგვარი მასხარაობაა, კაცს მჭადი ენატრებოდეს და ქაბაბს დაპირდე! ხომ გახსოვთ, რომ ბ-ნს ანდრონიკოვს დღესასწაულის აღსანიშნავათ ქარხნების პატრონებთან ჰქონია აგრეთვე მიწერ-მოწერა „სახლისა, შკოლისა და ღამის თავშესაფარის შესახებ“ და ისინიც სიამოვნებით დასთანხმებიან დახმარებაზე.

აბა ახლა ყური დაუგდეთ იმ სახლების ისტორიას, რომელშიაც დროებით კი არა, სამუდამოთ თურმე ცხოვრობენ ბათუმის მუშები. ექიმ სემალის გამოკვლევით, ბათუმში ყოფილა 4,000 სხვა-და-სხვა დარგის მუშა. ხოლო

„ეს მუშები, ყველანი, მაღლა, სხვენში ცხოვრობენ ან კიდევ ჭუჭყიან, უსინათლო და ნოტიო სარდაფებში. ასეთ სარდაფში, რომელსაც მდგმურნი ზამთარში საკუთარის სითბოთი ახურებენ, ხშირათ 9 და 10 კაცი ცხოვრობს, თუმცა სამი-ოთხი კაცის მოსათავსებელი ადგილი ძლივს არის. წვანან ყველანი პირდაპირ იატაკზე. ჩვეულებრივი ტიპი მუშათა სადგომისა ჰაი-არად აგებული ფარდულია. ასეთი ფარდული დაყოფილ-დანაწილებულია და ამ ნაწილებში სდგანან მუშები“.

ბ-ნ სეგალს მუშის 146 სადგომი დაუთვალიერებია და ბევრგან უნახავს, რომ იატაკი და კედლები დამპალი ყოფილა. ბევრგან ძირი, იატაკი მიწისაა. ზოგან სადგომები ისე მოწყობილი, რომ სულ მცირე წვიმის შემდეგ ქუჩის წყლით ივსება.

ეს ერთი მხრით მშვენიერი ილლიუსტრაციაა ბათუმის მუშების საცხოვრებელ სახლებისა და მეორე მხრივ კი მშვენიერი პასუხია თვით ანდრონიკოვისთვის იქაურ ქარხნის მეპატრონეთაგან. „მასხარობიაა“ ამისთანა მიწერ მოწერაც, დაპირებაც და ჯამბაზობაა ერთიცა და მეორეც!

*
* *

ასევე ჯამბაზობაა თქმა და გადათქმა. ოჰო და არას შუტრიალი, სინათლეში თვალების დახუჭვა და სიჯიუტე მხოლოთ მისთვის, რომ ასე სურს, ასე ეპრიანება, ასე უვლია და ასევე უნდა იაროს.

კარგი, ძმავ, გასწი და იარე, მხოლოთ ჩვენ კი მოგვეცი ნება თვალი ვადევნოთ თქვენს კუნტრუშს. არც გვიკვირს, დიდი ხანია, რაც შევეჩვიეთ თქვენს ახატულ-ჩამოხატულ ფიზიონომიას და არც ერთხელ კი სიწითლე არ შეგვიმჩნევია თქვენ ღაწვებზე.

ეს წინასიტყვაობა ეკუთვნის, რასაკვირველია, „ივერიას“ და ამაში არც არავის ეჭვი შეუვა, მარა მე მაინც კიდევ ერთხელ შევხედავ ჩვენს ჭადაროსანს:

წარსულ კვირეებში ის სწერდა შურდულის კალმით ფელეტონში.

„ბათომი. ველიჩკოს-- ველიჩკიძე—ლიდებულიძის“ წერილის გამო, რომელიც „რუსკი ვესტნიკში“ დაისტამბა და რომელშიაც ქართველთა სიყვარულით დამთვრალი ველიჩკო ბრძანებს: „ქართველები ციმბირს იქით გადაასახლეთ, მანჯურიისაკენაო», პალმის რედაქცია სადამოთი გაჩირადდნებული იყო. რედაქციამ მადლობის დეპეშა გაუგზავნა ბ. ველიჩკოს და სთხოვა, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ მხოლოდ მისი ქართველი თანამშრომელნი დასტოვონ საქართველოში და დანარჩენები წყალსაც წაუღიაო“.

„მოსკოვი. გრინგმუტმა დღეს დეპეშით პირს კოცნა გაუგზავნა ბ. ველიჩკოს. „არ მეგონა, ვასიუჯან, თუ მაგისთანა ყოჩაღი იქნებოდიო. აფერუმ შენს ვაჟ-კაცობას! მაშ მარტო მე არ ვყოფილვარ ბრძოლის ველზეო“.

უარს არ იტყვის, ჩვენი მხცოვანი, რომ პალმი ქართველების ჯაშუშია, მტერია, უარს არ იტყვის რომ რედაქტორი „მოსკოვის ვედომოსტებისა“ ასეთივე მტერია თვინიერ რუსეთის ერისა ყველა რუსეთის დანარჩენ ქვეშევრდომთათვის, უარს ამბობს მხოლოდ ველიჩკოზე. და ისიც ზემოხსენებულ სტრიქონების შემდეგ მეორე კვირას:

„ჟურნალ „რუსეთის უწყების“ მაისის წიგნში—სწერს „ივერია“—დაბეჭდილია, სხვათა შორის, ჩვენში კარგად ცნობილის ვასილ ველიჩკოს წერილი **Русскія рѣчи**, რომელშიაც შეეხება რუსთა საქმისა და თემთა ურთიერთობას კავკასიაში. ამ წერილიდან აქაურმა გაზეთებმა გადმობეჭდეს ნაგლეჯი, რომელიც ხელს უწყობდათ ის დასკვნა გამოეყვანათ, ვითომ ბ-ნი ველიჩკო, წინეთ ქართველთა მეგობრათ ცნობილი, დღეს მტრათ გადაქცეულა და ქართველ თავადაზნაურთა სამხედრო რაზმებისა და გადასახლების მომხრე იყოს. რადგანაც ეს ამონაგლეჯი სრულიად არ ეთანხმება ბ-ნ ველიჩკოს წერილის დედა-აზრს, ამისათვის „ივერიის“ რედაქციამ საჭიროთ დაინახა მთლათ გადმოთარგმნოს ბ-ნ ველიჩკოს წერილი და დაბეჭდოს თავის გაზეთის ფურცლებზე“.

შეუფარდეთ, ბატონებო, ეს ზემოთ თქმულს. ერთი კვირის წინეთ იმისი თქმა, რაც მეორე კვირას საეჭვოთ მიაჩნია. თუ ველიჩკო არ სწერდა იმას, რაც თქვენ წინა კვირას მიაწერეთ, მაშ რაღათ დააბით პალმისა და გრიგმუნტის ბაგაზე. რა იყო მიზეზი? სხვამ წამოგძახათ?

ვაი იმ ცარიელ ქვევრს, რომელსაც, ვისაც უნდა და რაც უნდა იმას ჩასძახებენ.

* * *

სწორეთ ამავე დღეებში „ივერიამ“ კიდევ მეუვსეულათ ჰკრა წიხლი თვის ქეჩოს. ეს გაზეთი ხომ წარჩინებულ და ბრწყინვალე გვამთა დამცველია. ამ გაზეთის აზრით, ხომ ამავე წარჩინებულ გვამთა არსებაშია ჩვენი ეროვნება, ენა, სამშობლო და თვინიერ წარჩინებულებისა ყოველივე ამაო არს. მაშ დაუგდეთ ყური ამავე გაზეთის წარსული კვირის სიტყვებს: „რამდენსამე წარჩინებულ გვარის შვილებს (ათი კაცია ჩამოთვლილი) მიუმართავთ ადგილობრივ სასწავლებლების უფროსებისათვის, საუმჯობესოთ მიგვაჩნია, ჩვენს შვილებს ქართული აღარ ვასწავლოთ და ამიტომ უმორჩილესათ გთხოვთ, გაანთავისუფლოთ ისინი ქართული ენის გაკვეთილებისაგანაო“.

სწორეთ არ მეგონა, თუ რომელიმე [illegible] წარჩინებულის გვარის შვილი ჩვენში, თუნდაც გულში [illegible] ყოფილიყო შვილებისათვის ქართულის სწავლებისაა.

სწორეთ არც მე მეგონა, თუ „ივერია“ ასე აშკარათ გამათრახავდა თვის თავთან ერთათ სამშობლოს „წარჩინებულთაც“.

* * *

მაგრამ ეს ერთნაირი გულწრფელობაც გახლავთ, როგორც მაგალითათ მეტის-მეტი გულწრფელი ყოფილა ბაქოს ხმოსანი ხატისოვი. შეტაკება მოსვლიათ ამ ხმოსანს და ბაქოს ქალაქის თავს ნოვიკოვს იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის ქალაქის სამსახურში ვაკანსიები—ადგილობრივს თუ მოსულს? ნოვიკოვს უმტკიცებია მოსულნი, ხატისოვს ადგილობრივნი. ნოვიკოვს უმტკიცებია ისიც, რომ ადგილობრივი ინჟინრები გაურბიან ქალაქის სამსახურს, თუ მათ სხვაგან უკეთესი ჯამაგირი ნახეს. დანარჩენი დიოლოგი ასეთი ყოფილა:

„ა. ი. ნოვიკოვი. უპირატესობა, რასაკვირველია, ადგილობრივ კაცს უნდა მიეცეს, თუ მთხოვნელნი ერთნაირის ღირსებისანი არიან. მაგრამ ადგილობრივი ინჟენერები, გამოცდილნი და დახელოვნებულნი, როდესაც 500 მანათს მეტს აძლევენ, ქალაქს ტოვებენ და ნავთის წარმოებაში გადადიან.

ხმ. ხატისოვი. განა ცუდია მერე ეგა? მეცა და თქვენც ოცი ათასი მეტი რომ მოგვცენ, სხვა სამსახურში გადავალთ.

ა. ი. ნოვიკოვი (ცხარეთ). თქვენის ადლით ნუ ზომავთ ყველას! მე საქმეს 8 ათას მანეთისთვის არ ვემსახურები და გარწმუნებთ, 20 ათასი კი არა, 100 ათასიც რომ მომცენ, არ გავანებებ თავს იმ საქმეს, რომლისთვისაც სარგებლობა მომაქვს.

ხმ. ხატისოვი: მე კი გავანებებ! მაპატიეთ, მაგრამ ყველანი ასეთები ვართ. მე უბრალო კაცი ვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ის კაცი, რომელიც თავის კეთილ-დღეობაზე ხელს იღებს,—გთხოვთ მაპატიოთ ამ სიტყვისთვის—ჩერჩეტია (ბოლვანი“).

აი სწორეთ ეს ხატისოვი თბილისის კეთილდღეობისთვის აპირებს სოლოლაკის მთის ქვეშ ბოტანიკურ ბაღამდე გაიყვანოს გვირაბი.

რომელი იქნება «ბოლვანი»—ის, ვინც «თვის კეთილ დღეობისათვის, არ ააფცქვნის სხვას ტყავს, თუ ის, ვინც ააფცქვნევინებს ამას, თუმცა ებნელება გვირაბში, მაგრამ მაინც დავინახავთ.

* * *

ისე როგორც დავინახავთ იმას, თუ როგორი აბრუნდაბრუნდი სცოდნია ზოგიერთ გარემოებას.

„გაზეთებში დაბეჭდილმა ცნობებმა დამარწმუნა, რომ თვით ებრაელები იყვნენ დამნაშავენი იმ არეულობათა და მკვლელობათა დროს, რომელიც მოხდა კიშინევში 6 და 7 აპრილს. დავრწმუნდი, რომ დაიტანჯნენ ქრისტიანები, ხოლო ებრაელებმა ზარალი ერთი-ორათ აიდგინეს შემწირველების შემწეობით. ეს კერძო წერილებიდანაც გავიგე. ამ წერილებს მწერენ გულწრფელნი, რომელნიც დიდი ხანია კიშინევში სცხოვრობენ და რომელთაც საქმე კარგათ იციან. ამიტომ ვუცხადებ კიშინევის ქრისტიანებს: მაპატიეთ ის საყვედური, რომელიც პირველ ხანს გამოგიცხადეთ. ეხლა დარწმუნებული ვარ, რომ ებრაელთა აკლებაში დამნაშავენი არიან თვით ებრაელნი“.

როგორც ამ წერილიდან სჩანს, ისევ ებრაელნი ყოფილან დამნაშავენი.

დიახ! დიახ!

* * *

წერილი რედაქტორთან.

მ. ხ. ბ. რედაქტორო! გთხოვთ მიღებისათანავე ამ წერილისა მოსპოთ თქვენი გაზეთის გზავნა ჩემ სახელზე, ვინაიდან ჩემი შეხედულობა სრულებით ეწინააღმდეგება თქვენი გაზეთის მიმართულებას.

სადგური შორაპანი—პ. ნასიძე.

თუ ეს მეტი არაა, დარწმუნებით ვიცი, რომ ეს ორი წელიწადია პ. ნ—ძე „კვალის" ხელის მომწერია. მადლობა ღმერთს, რომ ეხლა მაინც გაუგია პირის გემო ორი წლის საკვებისა. მაგრამ რადგანაც ქართულ ენაზე გამოდის კიდევ სხვა გაზეთ-ჟურნალიც, რიცხვით ხუთი, სტატისტიკურათ რო გამოვიანგარიშოთ, ბ-ნი პარმენი თითოზე ორ წელიწადს დახარჯავს. სულ შედგება „კვალიანათ" თორმეტი წელიწადი: ორი ჩვენ, ორი „ცნობის ფურ."—ორი „ივერიას", ორი „მოამბეს", ორი „მოგზაურს", ორიც „მწყემსს".

სად რომელი ტრაპეზის წინ აღაპყრობს ბატონი პარმენი ხელებს, ეს ზემოხსენებულ წმიდანისთვის მიგვინდვია გამოსაცნობათ.

რიგოლეტო.

კვლავ ფიქრი, ფიქრი...

(ლექსი პროზათ).

კვლავ ფიქრი, ფიქრი, მწარე ფიქრი, სულ მუდამ ფიქრი, მწარე ნაღველი, იმ თავითვე ჩემი ძმობილი!... კვლავ ის წყურვილი სიყვარულის, ძმობა-ერთობის, რაის წყალობითა მე ვშთენილვარ სოფლათ გმობილი!..

ხომ გახსოვს, ჩემო, ერთი ნავით რომ მივცურავდით ზღვის შეუპოვარ, მომღელვარე სასტიკ ტალღებში და სიყვარული იალქნობდა რა ჩვენსა ნავსა—ღონეს გვაწვდიდა სტიქიონთან მწარე ბრძოლაში. და ჩვენი ნავი, კარგი ნავი სიყვარულისა, დიადთა აზრთა, დიად მიზანთ მატარებელი, გახსოვს, პერცხალო, რა ნანინას გვეუბნებოდა!.. ოჰ, იმ დროს, იმ დროს, როს ოცნებით გატაცებულნი ხან მომავალზე დავიწყებდით, ჩემო, სიმღერას, ხან სიყვარულზე ვიძახოდით—ჩვენს იდეალზე, ხან კი ზღაპარი, ჩვენი დროის გმირთა ზღაპარი, ტალღების ჰექას, იმის ქუხილს მიგვავიწყებდა. მერმე ხომ გახსოვს, ერთი ტალღა რომ დაგვეჯახა და შეარყია ჩვენი ნავი სიყვარულისა, შენ იმა ტალღამ ზღვის უფსკრულში გადაგიძახა და შთაგნთქა მძლავრმა ზღვისა დენამ, სატრფოვ გულისა. და აი მაშინ, მაინც კარგო, ამაღე ხელი, მარტოდა შევრჩი იმ ოცნებებს და სიმღერასა, მარტოდა ვიბრძვი, ნავზე მარტო მიტოვებული, მაგრამ იმედი მაინც არ სწყვეტს სიმთა ჟღერასა. დიდი მიზანი სიყვარულის ნავში მჯდომარეს, დღესაც ლამაზი, მშვენიერი მინათებს სვლასა, და, დამერწმუნე, ვარდით ფენილ შენს ცხოვრებაში—მოვკვდები, მაინც არ გაგიცვლი ეკლიან გზასა! დაე ვიტანჯო, ამ ქვეყანათ ვინ არ ტანჯულა, თუ სიყვარულზე გაფურჩქვნილა მისი მიზანი, ეს გვირგვინია გოლგოთელთა, ეკლის გვირგვინი—გმირთათვის ძალა, სულმდაბალთა გესლი და შხამი... და ახლაც ვმღერი იმ ნანინას, ნავზედა მჯდომი, თუმცა დავშორდით, დავეკარგეთ ერთმანეთს ჩვენა... დაე ვიტანჯო, არ მაშინებს მე არაფერი, ტანჯული ტანჯულს, დამიჯერე, უფრო მივახვდენ. შენ აღარ გესმის ადრინდელი აღარაფერი, ის ძველი ხმები არ ატოკებს შენს მძინარ გულსა, მაინც ვიმღერი—გამიგონებს და შემითვისებს მშრომელი მოძმე, სახეოფლით რომ იწმენდს შუბლსა.

თქვენ, ჩემო ძმებო-მეგობრებო, ცხოვრების ბუშნო, სულ ყველაფერი თქვენი ოფლით გაკეთებულა, ციხე, დარბაზნი, ოქრო-ვერცხლი, პური და ღვინო, თქვენი ძლიერი მარჯვენითა გამზადებულა, ამის ნაცვლათ კი თქვენი ცრემლები დიდ ოკეანეთ გადაქცეულა, ერთ ადგილასა შეკავებულა და რომ იხეთქოს, გადმოლახას დიდი კედლები, ჯერ [illegible] მძლავრათ ის არ აღელვებულა. თქვენთვის, [illegible] ტვებო არსებობისა, თქვენთვის მიძღვნია ჩემი სული და ჩემი გული, ვფიცავ თქვენ ცრემლებს, მწარე ცრემლებს, რომ თქვენი კვნესით მეცა მქონია ეს თვალები დასივებული... ნუ, ნუ დამძრახავთ, მეგობარნო, თუ ჩემი ძლვენი მცირე გამოდგეს, ბევრი რამე ვერ უთხრას თქვენ გულს... მეც კარგათ ვიცი—თქვენ გარშემო ყინვის გალხობა სად შეუძლია მცირე კაცის მცირე სიყვარულს!..

კვლავ ფიქრი, ფიქრი, მწარე ფიქრი, სულ მუდამ ფიქრი, მწარე ნაღველი იმ თავითვე ჩემი ძმობილი, კვლავ ის წყურვილი სიყვარულის, ძმობა-ერთობის, რაის წყალობით მე ვშთენილვარ ქვეყნათ გმობილი!..

და კვლავ ჩემთან ხარ, მოწყენილო, ლამაზო სახევ, კვლავ დასტრიალებს შენ ბედ-იღბალს ჩემი გონება და ფიქრი, ფიქრი, მწარე ფიქრი, მწარე ნაღველი, კვლავ დაძმარებულს გულს ეკვრის და აღარ შორდება. შენ დაიბადე ბნელ, ნესტიან, გამჭვარტლულ ქოხში, მზისა ნათელი შენსა აკვანს არა სწვდებოდა და შენი მშობლის ტკბილი ნანა შენსა სასთუმალს პურისა ნატვრას არასოდეს არ სცილდებოდა. მაგრამ ბუნებამ ყბათ აიღო კაცთ ჯოჯოხეთი, შენ გაიზარდე მშვენიერი და ეშხით სავსე, თვითიან შიმშილიც კი მოხიბლა შენმა შვენებამ და საზიანოთ ვერ შებედა შენს სილამაზეს. მაგრამ თუ მგელსა გადაურჩი შენ შეუჭმელი, აღარ დაგინდო, ხომ, ბეჩავო, მგლის ფერმა ძაღლმა, მან გამოგტაცა ნამუსიც და პატიოსნებაც და ქუჩას უძღვნა შენი თავი ხალხისა ხმამა. და აი დღესა, ქუჩა-ქუჩა შენ დატანტალობ, ხელი აიღე სირცხვილზე და გასტეხე რიდი, ქუჩის ბიჭები თან დაგდევენ და მოგძახიან: «აგერ მოდისო, უნამუსო, ბოზი და ფლიდი!» ამის მნახველი, მოწყენილო, ლამაზო სახევ, კვლავ დასტრიალებს შენს ბედ-იღბალს ჩემი გონება და ფიქრი, ფიქრი, მწარე ფიქრი, მწარე ნაღველი, ჩემს დაძმარებულს გულს ეკვრის და აღარ შორდება.

ოჰ, ეს ფიქრები, ეს ფიქრები, როგორც ისარნი წვერ მოშხამულნი, მიმოქრიან გულის სივრცეში და ვგრძნობ რა შხამსა სისხლში შერთულს, სხეულში შერთულს, მსურის გამოვთქვა ჩემი ტანჯვა მწარე სიტყვებში. მაგრამ, სიტყვებო, საცოდავო ჩემო სიტყვებო! არა, თქვენ არ ხართ ჩემთა ფიქრთა გამომეტყველი, თქვენ პყრობილი ხართ მძლავრ ბორკილით ჩემსა ტუჩებში, თქვენ არ გიხილავთ ჯერ, ბეჩავნო, მზისა ნათელი!.. ვინ მიხვდეს, ვინა, რა გინდოდათ თქვენ დაგეძახნათ, როს გაურკვევლათ თქვენ ჰაერში გაიზმუილეთ, მტერსა შესტყორცნეთ ხელთათმანი თუ მაღლა ცაში სიმართლის მეფეს თქვენი მწარე ბედი შესჩივლეთ?.. დე, თვით იცოდენ, რას ფიქრობენ ჩემი ფიქრები, ოღონდ იფიქრონ, ვით აქამდე მათ უფიქრნიათ, და თუ, სიტყვებო, თქვენ ვერ იტყვით ფიქრთა შინაარსს, სჯობს რომ დადუმდეთ...

სპირიდონ მცირიშვილი.

რა მდგომარეობაში არიან ამიერ კავკასიაში ფარმაცევტები?

სწორეთ ახირებული ხალხია მეაფთიაქენი: ოღონდ საზოგადო პრესაში ნურაფერს იტყვი მათზე და სპეციალურ ჟურნალებში თუ გინდა ტყავი გააძვრე. ამ ბოლო დროს ისე შეეჩვიენ მაინც სპეციალურ ჟურნალში გამოქვეყნებულ ამბებს იმათ შესახებ, რომ წინდაწინ იციან, რომელ იმათგანში რა ეწერება დ, მეტი რომ ვერა მოუხერხებიათ-რა, „ზოზღით" იხსენიებენ იმ ორგანოს, რომელიც „სთესავს მეაფ-

თიაქესა და მუშა ფარმაცევტთა შორის უკმაყოფილებას''. ამ ორგანოს ეს ვაჟბატონები არამც თუ თითონ არ იწერენ, არამედ თავიანთ ხელქვეითთაც უშლიან იმას კითხვას, მაგრამ მიუხედავათ ამისა, რაღაც **მანქანების მაღათ** მაინც ყოველ თვის **გებულობენ** ხოლმე, რა იწერება იმაში. სულ სხვაა, თუ ადგილობრივ პრესაში გამოაქვეყნე ესა თუ ის არასასურველი მხარე აფთიაქური ცხოვრებისა. მარა აქაც თუ ის არ წამოგცდა რომ ამა და ამ აფთიაქში ესა და ეს ხდება, ე. ი. თუ პირდაპირ არ შეეხე ვაჟრულ მხარეს, არ თქვი რომ წამლებს ცუდათ ამზადებენ, ცუდ რამეს ასაღებენ ან და ფასს მეტს ახდევინებენ ხალხსაო, და ისე გაკვრით, იკლიკანტურათ შეეხე მის საზოგადო ,,მოღვაწეობას'', თუნდა პირადათაც დაასახელო ის, არა გიშავს: ხმასაც არ გაგცემენ—აბა სად სცხელათ, თუ ღმერთი გრწამთ, საპასუხოთ ,,სალიტერატოროთ''. ერთმა ამხანაგთაგანმა ამ სამი კვირის წინეთ ერთ ადგილობრივ გაზეთში გამოამეღავნა ისეთი რამ, რაც სულ არ ეპიტნავა მეაფთიაქეებს. თქვას, რომ აფთიაქებში მუშა ფარმაცევტები ცუდ მდგომიარეობაში არიან, 14—16 საათს მუშაობენ დღეში, ღამღამობით მორიგეობენ, ძილი უტყდებათ, ძლიერ იქანცებიან და **ამის გამო** ხშირათ ხდება ისეთი არასასურველი ამბები, რომ ერთის მაგივრათ ,,ასსისტენტი'' (მუშა ფარმაცევტი) მეორე წამალს ურევს, რასაც, რა თქმა უნდა, ცუდი შედეგი მოყვებაო. ან და, როცა დაღლილ და დაქანცულ კაცს წამ და უწუმ ,,ჩქარა-ჩქარა''-ს ჩასძახებენ ხოლმე, ესეც ცდილობს, რაც შეიძლება ჩქარა გააკეთოს წამალი და იმას არ დაგიდევს პირწმინდათ იქნება შეზავებული თუ არაო. ეს ამბავი რომ სპეციალურ ჟურნალში გამოქვეყნებია (განა ცოტაღა იყო ამგვარი გამოქვეყნებული?), ხმასაც არავინ გასცემდა, რადგანაც ,,შინაურობაში'' რაც ხდება, უკვე თვით იციან, მაგრამ, როგორც ზევით მოვიხსენიე, საზოგადო პრესაში ეს ,,უხერხულათ'' მიიჩნიეს, რადგანაც, ბატონებო, ეს ,,კომერციას'' შეეხება და ვაჟრობის შელანძღვა, მოგეხსენებათ, ვაჟრისთვინ საზარაღლოა. რომ მარტო ის ეთქვა ავტორს, ფარმაცევტები ცუდ მდგომარეობაში არიანო, ამასაც არას დაგიდევდენ, მხოლოდ **არ უნდა** ეთქვა, მათი აზრით, რომ შეცდომები ხდება ან და პირდაპირ ცუდათ ამზადებენ წამლებსაო. ამისათვის ასტეხეს ერთი განგაში და ვაი—უშველებელი. პირველათ ,,პასუხი'' გაგვცა თბილისის ერთ ბუმბერაზ მეაფთიაქის—ოტენის მმართველმა—კონტროლერმა პროვიზორმა ზენევიჩმა. ეს უკაცრავათ პასუხია, ,,პასუხი'' დამყარებულია უმთავრესათ შემდეგ მის განცხადებაზე: ,,მე (ე. ი. ზენევიჩი) 17 წელიწადია მმართველათ და ,,კანტროლერათ'' ვითვლები და **ერთხელაც** არ გამიგონია (ნახვით აბა რას ნახავდა!). რომ იმგვარი რამე ხდებოდეს სადმე აფთიაქებში, რაც ,,თფილისის ფურცელში'' იყო გამოქვეყნებულიო''. და ჰერე ვინ ამბობს, ან საიდან ამბობენ ამგვარ ლათაიებს? იმ ბანაკიდან, მკითხველო, საცა ყველაზე უფრო ადვილათ შესაძლებელია ხდებოდეს ის არასასურველი ამბები, რაც უკვე გამოქვეყნდა, რადგანაც არც ერთ აფთიაქში თბილისში იმდენი მუშაობა არ შეხვდება ,,ასსისტენტს'', რამდენიც ოტტენის აფთიაქში; იქ სწორეთ წელებზე უნდა დაიდგან ფეხი ფარმაცევტებმა, რომ როგორმე აუვიდენ აუარებელ მუშაობას. ამავე დროს კი ამ ვაჟბატონს სხვებზე უფრო ცუდი შრომის პირობები აქვს თბილისში. მეორე ოპონენტი პროვიზორი ა. პოტკოვი (რომლის ,,საქმენი საგმირონი'' ამ დღეებში კიდევაც გაგვაცნო ,,ახალმა მიმოხილვამ'') პასუხის ნაცვლათ შემდეგ რამე-რუმეს მოყოლია: ,,შეცდომები აფთიაქებში იმიტომ კი არ ხდება, რომ ფარმაცევტები ცუდ პირობებში მუშაობენ, არამედ იმიტომ, რომ ზოგიერთ აფთიაქებში დიპლომიან ფარმაცევტების ნაცვლათ არა დიპლომიანი, ეგრეთ წოდებული ,,პრაქტიკანტები'' მსახურობენო. ჩვეულებრივ მკითხველს შეიძლება ეს ,,მოსახრება'' ფაქტათ ეჩვენოს, მაგრამ ფარმაცევტს კი სიცილათაც არ ეყოფა: ,,პრაქტიკანტები'', თუ აქა-იქ მსახურობენ აფთიაქებში (იმათი რიცხვი კავკასიაში 8), მათ დიპლომიან ფარმაცევტებზე არა ნაკლებ აქვთ შეთვისებული და შესწავლილი პრაქტიკული, მექანიური ზხარე სააფთიაკო მუშაობისა და ესეც რომ არ იყოს, ეგრეთ წოდებული აფთიაქის «შაგირდები», რომელთაც ყველაზე მეტს ამუშავებენ, ხომ დიპლომიანი მეცნიერები არ არიან, ბატონო პროვიზორო? მაგრამ რა საჭიროა მაზე მეტი ლაპარაკი, რადგანაც ამ ვაჟბატონის წაჯექ-უკუჯექობა და «დღეს თქვენი ვარ, ხვალ სხვისი», ჩვენ, ფარმაცევტებმა, ყველამ ვიცით. უფრო საყურადღებო იყო მესამე ოპონენტის, კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების თავჯდომარის ბ-ნ იაკუბოვიჩის „პასუხი". ამ ვაჟ-ბატონმა თამამათ და რიხიანათ გამოაცხადა (ჩვენში დარჩეს და, რომ სულ არაფერი ეთქვა, კი ერჩივნა,—სული არ წამიწყდეს) მანამდის, სანამ არ დაგვისახელებთ ფაქტებს, არ დავიჯერებთ, რადგანაც „ჩემი ოცდა ხუთი წლის სააფთიაქო ასპარეზზე მოღვაწეობა მოწმეა იმისი, რომ არაფერი მაგგვარი არა ხდება აფთიაქებშიო". „ფიცი მწამს, მაგრამ ბოლო მაკვირვებს"-ო. მოახსენეს ბ-ნ თავჯდომარეს და სხვა ფაქტებთა შორის, დაუსახელეს მის აფთიაქში მომხდარი შეცდომები;- ესეც არ აკმარეს: „გაიხსენეთ, ბატონო იაკუბოვიჩო, თუ რისთვის „გამოგბუნძულეს" ბათუმიდანო". საჯაყი თუ გინდა, ეს არის: რაღაცას სასირცხვოს სწამებენ კაცს და ის კი ამის შესახებ სდუმს... მაშ ვსდუმდეთ ჩვენც ამის შესახებ მანამდის, სანამ ბ-ნი იაკუბოვიჩი მოიფიქრებდეს, თუ როგორ გამოძვრეს უხერხული მდგომარეობიდან! ახლა კი შევუდგეთ იმ ცნობების გამოქვეყნებას, თუ რა მდგომარეობაში არიან ფარმაცევტები ამიერ კავკასიაში, ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ ამ წერილის თავში დაყენებული კითხვის გარჩევას დროებით განზე ვუხვიე და ამ ბოლო დროს სააფთიაქო კითხვებზე ამტყდარ პოლემიკაზე შევჩერდი, მაგრამ რას იზამთ ,,ჭინჭრაქის განავალზე ზვავი ჩამოწვა''-ო, იტყვიან ხოლმე გურიაში...

სტატისტიკური ცნობები ფარმაცევტთა მდგომარეობის შესახებ ამიერ კავკასიაში დაბეჭდილი არის სპეციალურ ჟურნალ **„Фармацевтическій Вѣстникъ"**-ში 1902 წ. (№ № 23—25) ამ სათაურით: **„Современное положеніе условій фармацевтическаго труда въ Закавказьѣ"**. ეს ცნობები შეეხებიან ქქ. თბილისის, ბაქოს, ბათუმის და ქუთაისის აფთიაქებში მომუშავე ფარმაცევტთა მდგომარეობას. აქ მე იმ ცნობების მოყვანას, თუ რომელ აფთიაქში დაწვრილებით რა ნაირი შრომის პირობებია, არ გამოვუდგები, რადგანაც ეს ერთობ ბევრს ადგილს დაიჭერდა; აღვნიშნავ მხოლოდ საერთო პირობებს, საერთო დასკვნას (**общіе выводы**). დაწვრილებით იმის გაგება, ვისაც სურს, **თუ რომელ აფთიაქში** რანაირი პირობებია, მიმართოს ზემოთ ნახსენები ჟურნალის მე № 23-ში მოთავსებულ ცხრილებს. ამ ცნობების გამოქვეყნების შემდეგ (1902) ცვლილება ფარმაცევტთა საერთო მდგომარეობაში არა მომხდარა-რა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ხუთ ახლათ გახსნილ აფთიაქებს, სამს თბილისში და ორს ბაქოში, რომელთა მოვლინებამ მხოლოდ ფარმაცევტთა საერთო რიცხვი 20—25 კაცით გაადიდა.

მთელი რიცხვი ეგრეთ წოდებულ თავისუფალ ნორმალურ (**вольная нормальная аптека**) აფთიაქებისა შეადგენდა 27. წლეულს კი—32. თბილისში იყო შარშან 12 აფთიაქი (წელს კი 15-ია). ბაქოში 8 (წრეულს კი 10-ია). ბათუმში 3, ქუთაისში 4, სულ 27 (წლეულს კი 32).

საზოგადო დაწესებულებების აფთიაქები: 3 (ქალაქის აფთიაქები); გომეოპატიური აფთიაქი—1. (თბილისში). მოსამსახურე ფარმაცევტთა საერთო რიცხვი თბილისში შეადგენდა 85. ბაქოში, 46. ქუთაისში, 20. ბათუმში, 15. სულ 166 კაცი.

საზოგადო რიცხვი ყველა აფთიაქებში მომუშავეთა გარდა ფარმაცევტებ-აფთიაქრებისა შეადგენდა 179 კაცს. (ამათში ხუთი ფარმაცევტი ქალია).

ფარმაცევტული ხარისხით ესენი შემდეგნაირათ განიყოფებიან: მაგისტრის ხარისხის 1, პროვიზორები 28. პროვიზორების თანაშემწენი 73. შეგირდები 77. სულ 179 კაცი.

ყოველდღიური მუშაობა აფთიაქებში გაიზომება: $14^{1}/_{2}$ საათით 5 აფთიაქში, 14 საათით 20 აფთიაქში, $13^{1}/_{2}$ საათით 1 აფთიაქში, 12 საათით 1 აფთიაქში.

ღამ-ღამობით მორიგეობა (ночное дежурство) თვეში შეხვდებათ: 15 ღამე 11 აფთიაქში, 10 ღამე 10 აფთიაქში, $7^{1}/_{2}$ ღამე 4 აფთიაქში, 6 ღამე 1 აფთიაქში, $4^{1}/_{2}$ ღამე 1 აფთიაქში.

ღამ-ღამობით მორიგეობის შემდეგ ფარმაცევტებს **დასვენება არ აქვთ** 27 აფთიაქიდან 19 აფთიაქში. დასვენება აქვთ ერთი საათით 6 აფთიაქში, 2 საათით 1 აფთიაქში.

რიგი თავისუფალ დღეებისა შემდეგნაირია: მე-5 დღეს თავისუფალი არიან (6 დღე თვეში) 1 აფთიაქში, მე-4 დღეს თავისუფალი არიან ($7^{1}/_{2}$ დღე თვეში) 11 აფთიაქში, მე-3 დღეს თავისუფალი არიან (10 დღე თვეში) 15 აფთიაქში.

ქალაქის აფთიაქში (ტფილისში) მუშაობენ ზაფხულში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის (6 საათს დღეში), ზამთარში—9 საათიდან 4 საათამდის (7 საათს დღეში).

ნავთის მწარმოებელთა ორ აფთიაქში (ბაქოში) ფარმაცევტები მუშაობენ დილის 10 საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდის (ხუთი საათს დღეში).

სასმელ-საჭმელის მისაღებათ დანიშნული დრო ასე განიზომება: სადილათ ეძლევათ $^{1}/_{2}$ საათამდის 14 აფთიაქში, ერთ საათამდის 8 აფთიაქში, $1^{1}/_{2}$ საათამდის 3 აფთიაქში, 2 საათამდე 2 აფთიაქში. ვახშმისთვის **დასვენება არ აქვთ** სულ 19 აფთიაქში, დასვენება აქვთ $^{1}/_{4}$ საათით 8 აფთიაქში (ეს პირობებია იქ, სადაც სასმელ-საჭმელი მეაფთიაქეების ხარჯით არის).

მეაფთიაქეთა ხარჯზე არიან: ფარმაცევტები—15 აფთიაქში, შეგირდები—15 აფთიაქში.

ფულათ ღებულობენ (სასმელ-საჭმელის ფასათ) თითო 15 მან. 1 აფთიაქში, 20 მან.—6 აფთიაქში და 25 მან. 6 აფთიაქში.

მეაფთიაქეების ბინაზე ცხოვრობენ: ფარმაცევტები 21 აფთიაქში, შეგირდები—26 აფთიაქში.

ბინის ფულათ ღებულობენ 10 მან. 5 აფთიაქში, 15 მან. 1 აფთიაქში.

ჯამაგირებს პირველ წელიწადს ფარმაცევტები ღებულობენ (პროვიზორები არ შედიან ამაში) 40 მან. 18 აფთიაქში, 45 მან. 9 აფთიაქში.

შეგირდებს პირველ წელიწადს აძლევენ 10 მან., მეორე წელიწადს—15 მან., მესამე წელიწადს—20 მან.

ფარმაცევტთა შრომის **საშუალო პირობები** ამიერ კავკასიაში გამოიხატება შემდეგი ციფრებით: სამუშაო დღის **საშუალო რაოდენობა** 14 საათი, ღამ-ღამობით მორიგეობის **საშუალო რიცხვი თვეში** 10,07 ღამე, თავისუფალ დღეების **საშუალო რიცხვი თვეში** 8,84 დღე, მორიგეობის შემდეგ საშუალო რაოდენობა **დასვენების** (ОТДЫХЪ ПОСЛѢ НОЧНОГО ДЕЖУРСТВА) 0,02 საათი, სასმელ-საჭმელის მისაღებათ **საშუალო დასვენება** 0,96 საათი, თვიურ **ჯამაგირების საშუალო რაოდენობა** (ასსისტენტ-ფარმაცევტს) 41,30 მან.

აქვე მოყვანილი ფარმაცევტთა შრომის პირობების გამომხატველი ციფრები, ვგონებ, განმარტებას არ საჭიროებენ, რადგანაც თავის-თავათ ცხადია, რომ ყოველ დღე 14 **საათის მუშაობა**, ღამ-ღამობით თვეში მესამედზე მეტი (10,07) ღამის სრული უძილობა, ღამის თევის შემდეგ სრული დაუსვენებლობა (0,02 საათი) და ჭამა-სმის დროსაც ცოტა მოცალეობა (0,96 საათი) ქმნიან, სამწუხაროთ, ისეთ არანორმალურ პირობებს ფარმაცევტთა არსებობისთვის, რომ კიდევაც უნდა გვიკვირდეს, თუ ძლიერ ხშირათ არ ხდება შეცდომები აფთიაქებში ნებსითნი, თუ უნებლიეთნი... აი ამ ფაქტების შემდეგ მეაფთიაქენი პირმოთნეობით გაიძახიან: „არა, არ გვჯერა, არ შეიძლება, რომ შეცდომები მოსდიოდეთ ფარმაცევტებსო", თუმცაღა კი არც ერთს იმათგანს არ სჯერა, რომ გულწრფელათ ლაპარაკობდეს. როგორც ზემოთ მოვიხსენიე, მეაფთიაქეებს უნდოდათ მხოლოდ **გარეშე** პირნი დაერწმუნებიათ თავიანთ უცოდველობაში, მაგრამ იმავე დროს დაავიწყდათ ის, რომ **შინაური** მტერი, რომელიც მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში ემუდარებოდა იმათ—შეგვიბრალე, შეგვიმსუბუქე უღელი, ჩვენც კაცნი ვართო, მაგრამ სმენა კი არსაიდან იყო, ეს შინაური მტერი, ვიმეორებ დღეს ცოტ-ცოტას იღვიძებს, მოთმინების ფიალაც **ივსება** და... გეყოფათ, ბატონებო, რაც გვაძვრეთ ტყავიო, გაიძახიან! და ჩვენც მეტი რაღა დაგვრჩენია, თუ არა ის, რომ ჩვენ **თვითვე** აღვამაღლოთ ხმა ჩვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. **ჩვენ ფარმაცევტებს, უნდა გვახსოვდეს, რომ ხსნა-შველა ჩვენი, მხოლოდ ჩვენ ხელთ არის...** რითაც საზოგადოებასაც დავიხსნით ისეთ არასასურველ მოვლენათაგან, რომელთა მცირე ნაწილის გამოქვეყნებამ მეაფთიაქეთა ბანაკი ასეააყაყანა...

თფილისი. სარდიონ ბეჟ. მამალაძე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

გაზეთ „ბაქო"-დან „ივერიას" მოყავს შემდეგი ადგილი საფაბრიკო ინსპექციის შესახებ:

„ახალი გამოცემული „დროებითი წესები", რომლის ძალითაც საფაბრიკო ინსპეკცია გუბერნატორებს უნდა დაემორჩილოს, ერთი უდიდესი შემთხვევაა უკანასკნელ დროის კანონდებულებაში.

კარგა ხანია გავრცელებული იყო საზოგადოებაში ხმა საფაბრიკო ინსპეკცია ადმინისტრაციის ხელში გადავაო. მწერლობაშიაც გაისმოდა ხანდახან ასეთი ხმა, მაგრამ დაჯერებული არავინ იყო, რომ ამგვარი რამ მოხდებოდა. დღეს კი ეს ხმა სავსებით გამართლდა.

დღემდე არსებულ კანონის ძალით საფაბრიკო ინსპეკცია ფინანსთა სამინისტროს ექვემდებარებოდა; თავის სამსახურის ასრულების დროს საფაბრიკო ინსპექტორები გუბერნატორებს არ ემორჩილებოდენ, ისინი ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით ხელმძღვანელობდენ.

ახალმა კანონმა კი ძირიან-ფესვიანათ შესცვალა ასეთი დებულება საფაბრიკო ინსპეკციისა. „დროებით წესების" ძალით საფაბრიკო ინსპექტორები გუბერნატორის ხელმძღვანელობით უნდა მოქმედებდენ„ ფაბრიკებსა დ ქარხნებში მშვიდობიანობისა დ წესიერების დასამყარებლათ". საფაბრიკო ინსპექტორს გუბერნატორი ნიშნავს. მასვე აქვს უფლება უარყოს და არ შეიწყნაროს საფაბრიკო ინსპექტორის განკარგულება და დადგენილებანი.

ამგვარათ, თუმცა საფაბრიკო ინსპეკცია ისევ ფინანსთა სამინისტროს „უწყებაში" რჩება, მაგრამ ეს „უწყება". არსებითათ შეზღუდულია და დამოკიდებული ადმინისტრაციისაგან.

ასეთი შემთხვევა პირველი არ არის რუსეთის კანონმდებ-

ლობის ისტორიაში. მაგრამ, როგორც თხუტმეტი წლის გამოცდილებამ დაამტკიცა, ასეთს წესებს ზარალის მეტი არა მოუტანია-რა.

საფაბრიკო ინსპეკციაც ვერ ასცდება ასეთს მავნე ხვედრს. საფაბრიკო ინსპეკციის დიდი იმედი ქონდა ყველას. მისგან მოელოდენ გამწვავებულ ურთიერთობის დაცხრომას ფაბრიკანტებსა და მუშებს შორის; კაპიტალსა და შრომას შორის ატეხილ ბრძოლას დააშოშმინებსო და სხვა. სხვადასხვა მიზეზების გამო საფაბრიკო ინსპექტორები ვერ ამართლებდენ იმედს; ზოგიერთ შემთხვევებში იმედის გაცრუება მათდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო ხდებოდა.

ახალ წესების ძალით საფაბრიკო ინსპეკციის მოქმედება იცვლება: ის სრულიად კარგავს თავის დამოუკიდებლობას; ის ალმასრულებელ ადმინისტრატიულ ორგანოთ გარდაიქცა, პოლიციურ ჩარჩოში ჩაისვა. ეს არ შეეფერება იმ დანიშნულებას, რომლის ალსასრულებლათაც საფაბრიკო ინსპეკცია იყო მოვლენილი“.

ამაზე „ივერია“ თავის მხრივ სამართლიანათ დასძენს:

«თუ საქმეს უფრო ღრმათ დავუკვირდებით, არსებითად არავითარი ცვლილება არ მომხდარა. საფაბრიკო ინსპექტორები მუდამ ადმინისტრაციის, პოლიციის გავლენის ქვეშ მოქმედებდენ. დამოუკიდებელი იგინი არასოდეს არ ყოფილან, და თუ იყვენ, ეს დამოუკიდებლობა ფიკტიური, თვალის ასახვევი იყო. ახლა კი მოხდა ის, რაც ფაქტიურათ იმ თავიდანვე ხდებოდა. იურიდიულათ ინსპექტორები გუბერნატორებს დაემორჩილენ. თუ სრული დამოუკიდებელი არ იქნებიან საფაბრიკო ინსპექტორები, ამ შემთხვევაში სულ ერთია: ფინანსთა სამინისტროს ხელში იქნებიან, თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს. პირველიც და მეორეც ადმინისტრატიულ, პოლიციურ კანონებზეა დამყარებული. ორივე ერთის სისხლის და ერთის ხორცისა არის, ორივეს არსებული ბიუროკრატიული რეჟიმი ამოძრავებს, რომლის წინაალმდეგაც გაისმის მთელ რუსეთში ხმა. სანამ ეს ასე იქნება, მანამდე სულ ერთია: გინდ მგელს შეუჭამივარ, გინდ მგლის ფერ ძაღლსაო. საჭირო კია, არც მგელმა შეგხრას და არც მგლის ფერმა ძაღლმა შეგჭამოს».

ადრესი,

რომელიც პეტერბურგის ქართველობამ მიართვა უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტს ალ. ს. ხახანაშვილს.

ალ. ს. ხახანაშვილის დაუღალავი შრომით და ბეჯითობით მოსკოვის უნივერსიტეტში დაარსდა საქართველოს სიტყვიერების და ისტორიის კათედრა. მადლობის ნიშნათ პეტერბურგელმა ქართველობამ გააკეთებინა ძვირფას ტყავში „ვეფხის-ტყაოსანი“ ზედ-წარწერით და მოამზადა ადრესი, რომელიც აქვე მოგვყავს. მარა სხვა-და-სხვა შემთხვევის გამო ამ ადრესის მირთმევა ვერ მოხერხდა ორი წლის განმავლობაში (ადრესი დაწერილია 1901 წ.) და მხოლოთ ამ ხანებში მიაღწია კუთვნილებისამებრ, როცა ალ. ხახანაშვილი თფილისში ჩამოვიდა. მოგვყავს ადრესი სრულათ:

«დიდათ პატივცემულო პროფესორო,

ალექსანდრე სოლომონის ძევ!

ჩვენს დაბეჩავებულს ცხოვრებაში ძნელათ თუ დაკრას სანეტარო ჟამმა, რომელსაც ძალუძდეს გამოაღვიძოს მიჩუმებული მაჯა ჩვენის ეროვნული თვით-შეგნებისა და შეაყენოს იგი სასურველ გაწაფვის გზაზე. მრავალ-გზის გულგატეხილნი—მით უფრო მეტის თანაგრძნობით და სანუკეშო გულის თქმით ვეგებებით ქართული ისტორია-სიტყვიერების სანიმუშო კათედრის დაარსებას რუსეთის უძველეს უნივერსიტეტში. ეს მრავალ-მნიშვნელოვანი და მარად სასიქადულო მოვლენა არ საჭიროებს დაწვრილებით განხილვას, იგი თავის თვისით ცხადზე უცხადესათ ლაღადებს, რომ მუხლადი ნაბიჯი გადადგა წინსვლისა ჩვენმა ეროვნულმა თვითარსებობამ და გამარჯვება არა-ჩვეულებრივი მოიხვეჭა თვისდა გასამტკიცებლათ. მეცნიერების ტაძარმა თვისი პირუთვნელი კვლევა-ძიების კარი გაუღო ჩვენს [illegible]-ისტორიას, რომლის შინაარსი სავსებით [illegible] ზოგად კაცობრიულ მოვლენას. ამიერიდან ჩვენი ავლა-დიდება ერთხელ კიდევ გვერდში ამოუდგა საუნივერსიტეტო დანარჩენ საგნებს და იქნება ჯეროვან მხარის დამშვენებლათაც შეიქნეს იგი თავის დროზე.

მეცნიერული განხილვა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ, მაგრამ ჩვენდა არსებითათ ხელსაყრელ ისტორიულ ფაქტებისა, ნათლათ დაგვანახვებს, რომ არც ისე იშვიათათ გვწვევია იგი შარავანდედი, რომელიც თამამათ გვაძლევს უფლებას ვამაყობდეთ წარსულით და წარბშეუხრელათ თვალი გავუსწოროთ მომავალს. თვით საამდროვო ცხოვრების კრიტიკული შესწავლა ხელთ მოგვცემს ბევრ საჭკვისამჭირდესო საზრისს და მით გაგვიადვილებს დათრგუნვას აწინდელ ბედშავ გადასავლისას.

ვიმედოვნებთ, რომ დიდებული ძალა უნივერსიტეტისა და აუდიტორია, თქვენის ნაწრთობის და მზრუნველის ხელით გაწაფული, გამოიტანს ქვეყნათ ჩვენს ცხოვრებას; მით ცხოველ-მყოფლათ გამოაბრუნებს იგი ჩვენს მიძინებულს თვით-შეგნებას და მარჯვე კაპს ამოდებს ჩვენი დიდების ყბადამღებლებს, რომელთაც იმთავითვე დაბალ ლობეთ მივაჩნივართ და დღე-მუდამ ცდილობენ ქართველის სახსენებელი ალგავონ ამ ქვეყნათ და მსუბუქ ჩალისავით ნიავ-ქარს გაატანონ.

ერთი სიტყვით, გადადგმულია წინ კიდევ ერთი ნაბიჯი მტკიცე და ჩვენდა საგულისხმიერო, და ამ მხრით სამარადისოთ მადლობელნი უნდა ვიყოთ თქვენი, პატივცემულო პროფესორო. ყოველჟამ გამსჭვალულმა ჩვენის ცხოვრებით, მუდამ ფხიზლათ მზრუნველმა ჩვენ მისწრაფებათა ხელსაყრელ განხორციელებისათვის—თქვენ მიაღწიეთ ამ საშვილი-შვილო გამარჯვებას და ერთხელ კიდევ სხვათა სამაგალითოთ დაამტკიცეთ, რომ გულწრფელი სურვილი და დაუზარებლობა სამშობლოსადმი სამსახურისა ღონემოსილია, დასძლიოს ყოველივე დაბრკოლება და მიაღწიოს სამამული შვილო სულთა სწრაფვას.

სამეცნიერო ასპარეზზე უკვე ნაცადი თქვენი მოღვაწეობა, მუხლადი ენერგია და აგრეთვე კვერთხი საეროვნო გულის ნადებისა, რომელიც ხელთ გიპყრიათ მარჯვეთა და შესაფერათ, დაბეჯითებით გვითავდებებს, რომ მეცნიერების და სამშობლოსადმი თქვენებური სიყვარულით ეცდებით, თქვენისავე მეოხებით დადებულ სანდო ქვაკუთხედს მოყვეს სანდოვე შენობა, შემკობილი ღირს-სახსოვარ წარწერით: ქართველს უფლება აქვს თავი მოიწონოს წარსულით, ნუგეში იცეს აწმყოში და იქონიოს იმედი მომავლისა.

მიიღეთ კადნიერი სალამი თქვენდა და მარადის პატივისცემა თქვენის მოღვაწეობისადმი. გისურვებთ დღეგრძელობას და ღონის შეწევნას, რათა სასახელოთ და საბედნიეროთ ჩვენი საყვარელი სამშობლოსი დააგვირგვინოთ თქვენი უანგარო და ნაყოფიერი ჭირნახული»...

1901 წ. 1 იანვარი, პეტერბურგი.

შეცდომის გასწორება.

„კვალის“ № 21 338 გვერდზე მეორე სვეტში ზევიდან მეთორმეტე სტრიქონში შეცდომით დაბეჭდილია: „არა უმეტეს ხუთი მანეთისა“ უნდა იყოს „რ ა ღ ა ც კ ა პ ე ი კ ე ბ ი“.

დრ. რედაქტორი ნ. ი. ალექსეევ-მესხიევი.

გამომცემელი ან. მ. თ.-წერეთლისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28-го іюня 1903 г. ❦ სტამბა ქ. ივ. ხელაძის. ❦ Тип. Е. И. Хеладзе, Русскій базаръ, д. Арм. Дух. Семинаріи.